აჭარა

გამოცემის 103-ე წელი

www.gazetiajara.ge

გამოდის: სამშაბათს, ხუთშაბათს, შაბათს

№77 (25.101) ხუთშაბათი, 20 - 21 ივლისი, 2023 წ. 50 თეთრი

გარემოს ეროვნული სააგენტოს აჭარის ჰიდრომეტეოროლოგიური ობსერვატორიის ცნობით

დღეს მოსალოდნელია ცვალებადი მოღრუბლულობა, უნალექოდ, ცვალებადი მიმართულების ქარი – 10-15 მეტრი წამში, ტემპერატურა სანაპირო და შიდამთიან რაიონებში - 25-30 გრადუსი სითბო.

ზღვის წყლის ტემპერატურა 25 გრადუსია, ატმოსფერული წნევა – 758 მილიმეტრი.

მომდევნო 2 დღეს ამინდი შეინარჩუნდება.

კრიალოსა N იუსი

5%-იანი საარჩევნო ბარიერის დაწევის საკითხი დღის წესრიგში არ დგას, - განაცხადა ფრაქცია „ქართული ოცნების“ თავმჯდომარე მამუკა მდინარაძემ. მისივე თქმით, 5%-იანი საარჩევნო ბარიერის შენარჩუნების პირობებში მმართველი გუნდის მხრიდან არავითარი პირობა არ ირღვევა და ამაზე საუბარი არასწორია. „ირაკლი კობახიძემ შარშან თქვა, რომ თუ იმ წელს საქართველო კანდიდატის სტატუსს მიიღებდა, ამისთვის მზად ვიყავით, მაგრამ არ თქმულა, რომ თუ საქართველო სტატუსს გაისად, ოდესღაც და იმის შემდეგ მიიღებს, ბარიერს დავწევთ. ასეთი დაპირება არ ყოფილა“, - განმარტა მან.

* * *

2008 წელს ბუქარესტის სამიტზე საქართველოს ნატოს წევრობის სამოქმედო გეგმა რომ არ მისცეს, დიდი შეცდომა იყო და ამაზე დღეს უკვე ყველა ლაპარაკობს, - ასე შეაფასა „ევროპული საქართველოს“ პოლიტსაბჭოს თავმჯდომარე გიგი წერეთელმა ევროპარლამენტში საქართველოს შესახებ გამართულ კონფერენციაზე გაკეთებული განცხადებები. მისი თქმით, წინა ხელისუფლება იმთავითვე საუბრობდა ევროატლანტიკური ინტეგრაციის აუცილებლობაზე, მაგრამ ზოგიერთი დიდი სახელმწიფოსა და ლიდერის მხრიდან ამის გააზრებას გარკვეული დრო და მოვლენები დასჭირდა.

* * *

აშშ-ის იუსტიციის დეპარტამენტის ვებგვერდზე გიული ალასანიასა და მიხეილ სააკაშვილის მიერ დაქირავებული ლობისტური კომპანიის აქტივობების შესახებ ახალი ინფორმაცია გამოქვეყნდა და ცნობილი გახდა ის აქტივობები, რომლებიც ლობისტურმა კომპანიამ განახორციელა. მათ შორის არის რეზოლუციების დაწერა და ევროპარლამენტისთვის მიწოდება, სააკაშვილის შესახებ სტატიების მომზადება, კომუნიკაცია ევროპარლამენტარებთან და ა. შ.

* * *

„ნაციონალური მოძრაობის“ ბაზაზე გაკეთდება მთავარი გამარჯვების ცენტრი ბიძინა ივანიშვილისა და რუსული პარტიის წინააღმდეგ, - განაცხადა ენმ-ის თავმჯდომარე ლევან ხაბეიშვილმა. „ვეს საუბრებით „სტრატეგია აღმაშენებელს“, რათა სხვადასხვა პროდასავლურ პარტიასა და ლიდერებთან ერთად გამარჯვების პლატფორმა შეგქმნათ. მივესალმებით ყველას, ვინც ამ გამარჯვების პლატფორმაში საკუთარ თავს დაინახავს და, ასევე, მივესალმებით იმ ფაქტს, თუ ცალკე პროდასავლური პარტიებიც გააკეთებენ ერთობას, - აღნიშნა მან.

მოამზადა
ია შველიძემ

ირაკლი ღარიბაშვილმა უზბეკეთის პრემიერ-მინისტრს აჭარაში უმასპინძლა

აჭარის მთავრობის პრესსამსახურის მიერ გავრცელებული ინფორმაციით, საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა უზბეკეთის რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრ აბდულა არიპოვს აჭარაში უმასპინძლა

სტუმრის პატივსაცემად სამუშაო სადილი გაიმართა, სადაც საქართველოს და უზბეკეთის რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრებმა ორ ქვეყანას შორის არსებული ურთიერთობები განიხილეს და თანამშრომლობის პერსპექტივებზე იმსჯელეს.

აბდულა არიპოვს და საქართველოში ვიზიტად მყოფ უზბეკეთის რესპუბლიკის დელეგაციას ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრმა ლევან დავითაშვილმა საქართველოს პორტები, საზღვაო ინფრასტრუქტურა და ამ სექტორში მიმდინარე და დაგეგმილი პროექტები გააცნო. დელეგაციას ბათუმსა და ფოთში ლევან დავითაშვილთან ერთად აჭარის მთავრობის თავმჯდომარე თორნიკე რიჟვაძემ, ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის მოადგილე გურამ გურამიშვილმა და სსიპ „საზღვაო ტრანსპორტის სააგენტოს“ დირექტორმა ალექსი ახვლედიანმა უმასპინძლეს. მათ უზბეკ სტუმრებთან ერთად დაათვალიერეს ფოთის საზღვაო პორტი და აკვატორია სანაპირო დაცვის გემით, გაეცნენ ბათუმის პორტის ინფრასტრუქტურასა და მუშაობას, ანაკლიის ღრმაწყლოვანი პორტის პროექტს.

უზბეკეთის რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრი აბდულა არიპოვი ბათუმის საერთაშორისო აეროპორტიდან საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა გააცილა.

ჯანდაცვის მიმართულებით საქართველოსა და სომხეთის თანამშრომლობა განიხილეს

ნაილე ხერთვისელი 27 48 93

სომხეთის რესპუბლიკის გენერალურმა კონსულმა ბათუმში ნარინე მატოსიანმა აჭარის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრ ნინო ნიჟარაძესთან გაცნობითი ხასიათის შეხვედრა გამართა

ნარინე მატოსიანი ორ თვეზე მეტია, რაც ბათუმში გენერალური კონსულის პოზიციაზე დანიშნა. მხარეებმა განიხილეს ქვეყნებს შორის ჯანმრთელობის დაცვის მიმართულებით არსებული თანამშრომლობა და ახალი ინიციატივების შესაძლებლობები.

მინისტრმა ნინო ნიჟარაძემ გენერალურ კონსულს მიულოცა დიპლომატიური მისიის აჭარაში დაწყება და წარმატებები უსურვა, გააცნო სამინისტროს ხედვები და პროგრამები, როგორც ჯანმრთელობის, ასევე სოციალური დაცვის მიმართულებით.

როგორც შეხვედრაზე აღინიშნა, საქართველოსა და სომხეთის რესპუბლიკას აკავშირებს მჭიდრო მეგობრული ურთიერთობა, რომელიც დაფუძნებულია კეთილმეზობლობის, ურთიერთპატივისცემისა და თანამშრომლობის პრინციპებზე.

შეხვედრას ესწრებოდნენ მინისტრის პირველი მოადგილე მარი ზანაქიძე და მოადგილე ზურაბ თენიეშვილი.

ISSN 2720-8702

9 772720 870003

გამოიწერეთ გაზეთი «აჭარა»!

ვისაც სურს მიიღოს მაქსიმალურად ზუსტი ინფორმაცია და ობიექტური ანალიზი არა მარტო ჩვენი რეგიონის, სრულიად საქართველოს პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური და კულტურული ცხოვრების მთავარი მოვლენების შესახებ, შესაბამისი თხოვნით მიმართოს სადისტრიბუციო ორგანიზაციას «ბათუმი ექსპრესი» (ქ. ბათუმი, ჭავჭავაძის ქ. №90, ტელ: 555 86 12 21). მისი დახმარებით თქვენს მისამართზე მიიღებთ გაზეთ «აჭარის» ყოველ მომდევნო ნომერს.

გამოიწერეთ და ითანამშრომლეთ გაზეთ «აჭარასთან»!

ჩვენთვის ძვირფასია თითოეული თქვენგანის აზრი!

წამოჭრილი პრობლემების შემთხვევაში დაგვიკავშირდით:

577 20 43 55.

შეხვედრა მეზღვაურებსა და კაპიტნებთან

საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს მიერ გავრცელებული ინფორმაციით, ქვეყნის ვიცე-პრემიერი, ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრი ლევან დავითაშვილი, ბათუმში ვიზიტის ფარგლებში, მეზღვაურებსა და შორეული ნაოსნობის კაპიტნებს შეხვდა

შეხვედრა სსიპ „საზღვაო ტრანსპორტის სააგენტოში“ გაიმართა და მასში, მინისტრთან ერთად, მონაწილეობდნენ მინისტრის მოადგილე გურამ გურამიშვილი და სააგენტოს დირექტორი ალექსი ახვლედიანი.

შეხვედრაზე ეკონომიკის სამინისტროს ხელმძღვანელებმა და მეზღვაურებმა, ძირითადად, განიხილეს ისეთი თემები, როგორიცაა ქვეყნის საზღვაო სფეროში არსებული გამოწვევები, საზღვაო განათლების საკითხი, წვრთნისა და საზღვაო პროფესიების დაუფლებისას პრაქტიკული კურსის მნიშვნელობა და ეფექტურობის გაზრდა, მეზღვაურთა კომპეტენციის დადგენის მექანიზმების დახვეწა და მათ დასაქმებასთან დაკავშირებული საკითხები.

მეზღვაურებისა და კაპიტნების საინიციატივო ჯგუფის წევრებმა ლევან დავითაშვილს ზემოაღნიშნულ საკითხებთან დაკავშირებით საკუთარი ხედვა და მოსაზრებები გააცნეს და თანამშრომლობისთვის მზადყოფნა გამოთქვეს.

შეხვედრისას სამინისტროს მხრიდან ხაზგასმით აღინიშნა, რომ საზღვაო სექტორი, მისი ინფრასტრუქტურის წარმატებული ფუნქციონირება საქართველოს მთავრობის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პრიორიტეტია, შესაბამისად, ასევე, პრიორიტეტულია ამ დარგში კონკურენტუნარიანი სპეციალისტების მომზადება და შემდგომ მათი წარმატებული საქმიანობა.

„ჩვენი მხრიდან კაპიტნების საინიციატივო ჯგუფის მიერ დასმულ საკითხებსა და წამოჭრილ ინიციატივებზე სამუშაოდ და მათ გადასაჭრელად სრული მხარდაჭერაა. ამ კუთხით აქტიურად ვითანამშრომლებთ და დარწმუნებული ვარ, გრძელვადიანი სამოქმედო გეგმის ფარგლებში ეტაპობრივად შესრულდება საზღვაო სექტორის განვითარებისთვის დასახული ყველა მიზანი და რეფორმა“, - აღნიშნა ლევან დავითაშვილმა.

ამირან გურიელიძე

აჭარაში 210 შემოწმებული ობიექტიდან 15-ში კრიტიკული შეუსაბამობა გამოვლინდა

მარიამ ხითარიშვილი 27 48 93

სურსათის ეროვნულმა სააგენტომ აჭარაში, საზღვაო კურორტებზე სახელმწიფო კონტროლი გააქტიურა. როტაციის პრინციპით დაკომპლექტებული ინსპექტირების ჯგუფები საზოგადოებრივი კვების ობიექტებს ამოწმებენ

რეგიონში, ორი კვირის განმავლობაში, 210-მდე ბიზნესოპერატორი შემოწმდა. კრიტიკული შეუსაბამობა 15 ობიექტზე გამოვლინდა, რომელთაც, ფულადი ჯარიმის გარდა, შეუსაბამობების აღმოფხვრამდე საწარმოო პროცესი შეუჩერდათ.

კონტროლის ფარგლებში, განსაკუთრებული ყურადღება ექცევა სამზარეულოებში არსებულ სანიტარიულ-ჰიგიენურ მდგომარეობას, ეტიკეტირების წესს, ტემპერატურულ რეჟიმებსა და სურსათის უვნებლობის სხვა პარამეტრებს.

სურსათის ეროვნული სააგენტო ადგილობრივ მოსახლეობასა და დამსვენებლებს მოუწოდებს, სურსათი არაორგანიზებული ვაჭრობის პირობებში არ შეიძინონ, ასევე, ისეთ ობიექტებში, სადაც სურსათის უვნებლობის სტანდარტები არ არის დაცული, დარღვევის აღმოჩენის შემთხვევაში კი დაუკავშირდნენ ცხელ ხაზს - 1501.

- მიუხედავად იმისა, რომ ძალიან დიდი პროგრესი გვაქვს სურსათის უვნებლობის პარამეტრების დაცვის კუთხით, ჩვენ მაინც ვცდილობთ, რომ ეს შედეგი კიდევ უფრო გაუმჯობესდეს. ის მომხმარებელი, რომელიც აჭარას ეწვევა, აუცილებლად უნდა იყოს დაცული. პირველ რიგში, აუცილებელია, რომ თავად მომხმარებელმა გაითავისოს ეს ყველაფერი, არ შეიძინოს სურსათი ისეთ დაწესებულებებში, სადაც უვნებლობის სტანდარტები დარღვეულია, - განაცხადა აჭარის რეგიონული სამმართველოს უფროსის მოვალეობის შემსრულებელმა თამარ ბერძენიშვილმა.

სამინისტროს წარმომადგენლები პენსილვანიის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორს შეხვდნენ

დარინა გაბაიძე 514 22 22 80

ბათუმში სამუშაო ვიზიტით იმყოფებოდა აშშ-ის პენსილვანიის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი, ენტომოლოგი გრეგ კრავჩიკი, რომელიც აჭარის სოფლის მეურნეობის მინისტრის მოადგილეებს უჩა სურმანიძეს, მირიან ქათამაძესა და სამინისტროს სხვა წარმომადგენლებს შეხვდა

შეხვედრის მთავარი მიზანი იყო ციტრუსის, კაკლოვანი და სხვა ხეხილოვანი კულტურების მავნე მწერების წინააღმდეგ ინტეგრირებული ღონისძიებების შემუშავება და ამ მხრივ ჩვენს რეგიონში არსებული მდგომარეობის შესწავლა. ვიზიტის ფარგლებში, ექსპერტი გრეგ კრავჩიკი გაეცნო აზიური ფაროსანას წინააღმდეგ გატარებულ ღონისძიებებს, შეხვდა აგრარული ექსტენციის ცენტრის წარმომადგენლებს და ფერმერებს.

შეხვედრას ასევე ესწრებოდნენ აგრარული განვითარების და მონიტორინგისა და შეფასების დეპარტამენტების უფროსები, აგრეთვე, სურსათის ეროვნული სააგენტოს მცენარეთა დაცვის დეპარტამენტის უფროსი ნიკოლოზ მესხი, რომელმაც შეხვედრის დასრულების შემდეგ ჩვენს კითხვებს უპასუხა.

- საქართველოში პენსილვანიის უნივერსიტეტის პროფესორი გრეგ კრავჩიკი ჩამობრძანდა აშშ-ის სოფლის მეურნეობის დეპარტამენტის მხარდაჭერით. მისი ვიზიტის მიზანია იმ გამოცდილების გაზიარება, რომელიც მას აქვს მცენარეთა მავნე მწერებთან ბრძოლის საკითხებში. აღსანიშნავია, რომ 2007 წლიდან სახელმწიფოში ტარდება აზიური ფაროსანას საწინააღმდეგო ღონისძიებები და ამ პროგრამას, სწორედ მისი რეკომენდაციები დაედო საფუძვლად. სტუმარმა აჭარის რეგიონში შეხვედრები გამართა სოფლის მეურნეობის სამინისტროში, სადაც უწყების ხელმძღვანელები ესწრებოდნენ ამ შეხვედრას, დეტალურად იყო განხილული თითეული აქტივობა და არსებული სიტუაცია, ასევე, იმყოფებოდა ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტში, პროფესიული გადამზადების ცენტში, სადაც გადამზადების ხელმძღვანელობას, სტუდენტებს, ლექტორებს და ექსტენციის სამსახურის წარმომადგენლებს შეეხვდით. ძალიან მნიშვნელოვანია ეს თანამშრომლობა და ძალიან კარგია, რომ ასეთი დონის სპეციალისტი იმყოფება საქართველოში და გვიზიარებს თავის გამოცდილებას, - გვითხრა ნიკოლოზ მესხმა.

საყრდენი კედლები მოაპირკეთეს

თამაზ მგზავრიძე 27 48 94

დაბა შუახევის ცენტრის კეთილმოწყობის, საყრდენი კედლების მოპირკეთების სამუშაოები რამდენიმე წლის წინ დაიწყო. ბათუმი-ახალციხის საავტომობილო გზის ხიჭაური-ჩანჩხალოს ხიდის მონაკვეთის რეკონსტრუქცია-რესტავრაციის სამუშაოებმა რუსთაველის ქუჩაზე საყრდენი კედლების მოპირკეთებისა და სანიაღვრე არხის მოწყობის სამუშაოები გადაავადა.

წელს ადგილობრივი ბიუჯეტიდან 250 ათასი ლარი გამოიყო მობილიზებული ცენტრის კეთილმოწყობასა და საყრდენი კედლების ამოყვანისთვის. კონკურსში გამარჯვებული კომპანიის ოსტატები უკვე ამთავრებენ რუსთაველის ქუჩაზე საყრდენი კედლის მოპირკეთებას.

ბენეფიციართა რაოდენობა გაიზარდა

ნაილე ხერთვისელი 27 48 93

ხელვაჩაურში მარტოხელა მშობლის სტატუსით მოსარგებლე ბენეფიციართა რაოდენობა 58-მდე გაიზარდა. საკანონმდებლო ცვლილების შესაბამისად, ერთჯერად ფინანსურ დახმარებას ახლა უკვე მარტოხელას სტატუსით მოსარგებლე მშობელთან ერთად, ის ბავშვებიც მიიღებენ, რომელთა ერთ-ერთი მშობელია გარდაცვლილი. აქამდე მარტოხელა მშობლად მხოლოდ დედები ითვლებოდნენ, რომელთა 18 წლამდე ასაკის შვილის დაბადების მოწმობაში ერთი მშობელი ფიქსირდებოდა. ამ პროგრამაში დამატებით ასეთი 22 ბენეფიციარი ჩაერთო, რომლებმაც მერიისგან ამჯერად დახმარების სახით 700-700 ლარი მიიღეს. გარდა ამისა, მერია ერთჯერად დახმარებას სექტემბრისთვის გადასცემს იმ მრავალშვილიან ოჯახებს, რომელთაც 5 ან მეტი სასკოლო ასაკის ბავშვები ჰყავს.

ჭვანის ადმინისტრაციულ ერთეულში ბევრი კეთდება, თუმცა...

ოთარ ცინარიძე 599 85 21 14

ჭვანის ადმინისტრაციული ერთეული ტერიტორიულად და მოსახლეობის რაოდენობითაც შუახევის მუნიციპალიტეტში ყველაზე დიდია. აქ განთავსებულია საქართველოს საპატრიარქოს ხიჭაურის სასწავლო უნივერსიტეტი, ისტორიული წარსულის უტყუარი ძეგლებია ოთოლთასა და კავიანის ციხეები, თაღოვანი ხიდი მდინარე ბარათაულისწყალზე. წელს ადმინისტრაციულ ერთეულში რამდენიმე მნიშვნელოვანი პროექტი ხორციელდება. ამ და სხვა საკითხებზე გვესაუბრება შუახევის მუნიციპალიტეტის მერის წარმომადგენელი ჭვანის ადმინისტრაციულ ერთეულში ვახტანგ ნაკაშიძე.

- ჭვანის ხეობის 20-მდე სოფლის აქ მეცხოველე ფერმერებისთვის, რომლებსაც ზაფხულობით ამ ხეობაზე გავლით აჭარა-გურიის ქედზე არსებულ საძოვრებზე პირუტყვი გადაჰყავთ, ასევე ვიზიტიორებისთვის, დიდი პრობლემა იყო ხიჭაური-ჭვანის 5-კილომეტრიან საავტომობილო გზაზე ტრანსპორტით გადაადგილება. სოფელ ტაკიძეების ტერიტორიაზე შევიწროებული მონაკვეთებიც იყო. 10 წლის წინ შუახევი-ხიჭაურის 5,1-კილომეტრიან მონაკვეთზე ასფალტი დაიგო. უხარისხოდ, ნაჩქარევად დაგებულმა ასფალტმა პრობლემა ვერ მოხსნა. ისევ წამოვიდა გზაზე ჩამდინარე და სარწყავად გამოსაყენებელი წყლები. წელს აჭარის საავტომობილო გზების დეპარტამენტმა 3,1 მილიონი ლარი გამოჰყო 5,1 კილომეტრზე ასფალტის დასაგებად.

- სამუშაოები როგორ სრულდება?

- ვინც ამ ზაფხულს ხიჭაური-ნაღვარევის მიმართულებით, თუნდაც ჭვანის ადმინისტრაციული ერთეულის სოფლებში გადაადგილდება, შემოვლითი გზით სარგებლობა უწევს. შპს «არალი» სარეკონსტრუქციო სამუშაოებს პროექტის შესაბამისად, თანაც ვადების დაცვით ასრულებს. ისინი აგვისტოს ბოლომდე საქმეს მორჩებიან. ადმინისტრაციული ერთეულის ყველა სოფელში უკვე ასფალტ-ბეტონისსაფარიანი გზები შედის. სოფელი ახალდაბა ასფალტიანი გზით წყაროთასა და ჭალას დაუკავშირდა. მშენებელმა კომპანიებმა გარკვეული გამოცდილება შეიძინეს, რაც ხარისხიანი სამუშაოებითაც დასტურდება. სოფელ ახალდაბაში ასფალტის დაგების სამუშაოებს აჭარის მთავრობის თავმჯდომარე თორნიკე რიყვაძე და სხვა პირები დაესწრნენ. ნეტავი ყველა სოფელს ჰყავდეს «მომავლის სოფლის» ინიციატორის, ლევან მჟავანაძის მსგავსი ბიზნესმენები. მან ერთ დროს მიტოვებული, ყველასგან მივიწყებული ზვარეს უბანი სიცოცხლითა და ხალისით სავსე ტერიტორიად აქცია. «მომავლის სოფელს» უცხოელი და ადგილობრივი ვიზიტორები არ აკლია, რამდენიმე ადგილობრივმა აქ მუდმივი, თანაც, მაღალანაზღაურებადი სამუშაო გაიჩინა. ლევანი გზას უვლის და სოფელსაც ყველა მიმართულებით თანადგომას უწევს.

- ლევან მჟავანაძემ «მომავლის სოფელში» უნიკალური მართლმადიდებლური სამლოცველოც გააკეთა. სამწუხაროდ, ისევ შეჩერებულია სამღორიას უბანში დაწყებული ეკლესიის მშენებლობა. როდის განახლდება სამუშაოები?

- ჭალელმა, აწ განსვენებულმა ბიზნესმენმა სანდრო შარაშიძემ ეკლესიის მშენებლობა მე მანდო. საქმეც კარგად მიდიოდა. 2013 წელს, გურიიდან, შემოქმედის ეკლესიიდან გადმოსვენებული ჯვარიც მშენებარე ტაძარში დაასვენეს და სხალთის ეპარქიის მღვდელმსახურებმა პარაკლისიც გადაუხადეს. სანდრო შარაშიძემ, გარკვეული მიზეზების გამო, დაწყებულ საქმეს ვეღარ უპატრონა. წლის დასაწყისში, ჭვანისხეობელი ბიზნესმენები სამშენებლო სამუშაოების განახლებას შეგვპირდნენ, მაგრამ ივლისი იწურება და არავინ გამოჩენილა.

> ***მარტო ბოლო სამი წლის განმავლობაში 200-ზე მეტი ინდივიდუალური კოტეჯი აიგო გომის მთისა და თაგინურის ტერიტორიებზე. იყო წლები, როცა ქედისა და შუახევის მუნიციპალიტეტების სოფლებიდან 1500-ზე მეტი ოჯახი ზაფხულს თაგინურზე ატარებდა. ახლა მათი რაოდენობა თითქმის განახევრებულია, მაგრამ მთის სახლები არ მოუშლიათ. ჭვანის ხეობიდან კურორტ გომის მთამდე მისასვლელი საავტომობილო გზის რეკონსტრუქცია და ასფალტ-ბეტონის საფარის დაგება მოსახლეობასაც სასიკეთოდ წაადგება და ვიზიტიორებსაც. წელს აჭარის საავტომობილო გზების დეპარტამენტის ბიუჯეტიდან მობილიზებული თანხით 2 კილომეტრზე ბეტონის საფარი დაიგება***

- წელს ოთოლთის ციხის რესტავრაცია-კონსერვაცია დაიგეგმა.

- ეს ისტორიული ძეგლი ჩვენი ხეობის სავიზიტო ბარათია. აქ ადრე რიგი სამუშაოები განხორციელდა. საავტომობილო გზიდან ციხეზე ასასვლელი ბილიკი მოეწყო. ტაკიძეებელ ექიმ იაგო ტაკიძის ინიციატივით, 6 წლის წინ ციხეზე ჯვარი აღიმართა. უკვე ტრადიციად დამკვიდრდა და ყოველი წლის 8 აგვისტოს ციხესთან ვიკრიბებით და საქართველოში რუსეთის აგრესიას ვგმობთ. პოეტმა, ისტორიკოსმა შოთა დიასამიძემ ციხეზე პირველი გაკვეთილი ჩაატარა და ეს წამოწყება ხეობის სხვა ისტორიკოსებმა აიტაცეს. დრო თავისას შვრება. ციხის ხავსმოკიდებული კედლები იშლებოდა, ქვევრები, საიდუმლო გასასვლელი ფორმას კარგავდა. შარშან, ჯვარიმინდღორის ფესტივალზე ყოფნისას, აჭარის მთავრობის თავმჯდომარე თორნიკე რიყვაძე ციხის რესტავრაცია-კონსერვაციას შეგვპირდა. შესაბამისი საგენტოს ბიუჯეტიდან 800 ათასი ლარი გამოიყო. კონკურსში გამარჯვებული კომპანია სამუშაოებს შეუდგა.

- რეგიონის პირველი პირი შეგპირდათ, რომ ბეტონის საფარი დაიგებოდა ხაბელაშვილები-ჯვარიმინდღორის საავტომობილო გზაზე...

- ჯვარიმინდღორიდან 8 კილომეტრითაა მოშორებული თაგინური, რომელსაც სამთო-სათხილამურო კურორტი გომის მთა ემიჯნება. საზოგადოებისთვის ცნობილია ის დიდი მოძრაობა, რაც ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობამ ამ კურორტის განვითარებისთვის წამოიწყო. მარტო ბოლო სამი წლის განმავლობაში 200-ზე მეტი ინდივიდუალური კოტეჯი აიგო გომის მთისა და თაგინურის ტერიტორიებზე. იყო წლები, როცა ქედისა და შუახევის მუნიციპალიტეტების სოფლებიდან 1500-ზე მეტი ოჯახი ზაფხულს თაგინურზე ატარებდა. ახლა მათი რაოდენობა თითქმის განახევრებულია, მაგრამ მთის სახლები არ მოუშლიათ. ჭვანის ხეობიდან კურორტ გომის მთამდე მისასვლელი საავტომობილო გზის რეკონსტრუქცია და ასფალტ-ბეტონის საფარის დაგება მოსახლეობასაც სასიკეთოდ წაადგება და ვიზიტიორებსაც. წელს აჭარის საავტომობილო გზების დეპარტამენტის ბიუჯეტიდან მობილიზებული თანხით 2 კილომეტრზე ბეტონის საფარი დაიგება. იმედს ვიტოვებთ, რომ სამუშაოები მომავალ წელსაც გაგრძელდება.

- ტრადიციული სახალხო დღესასწაული «შუამთობა» რიგრიგობით იმართება ჩირუხსა და თაგინურზე. ახლა თაგინურის ჯერია. მისი ორგანიზებულად ჩატარებისთვის ხეობის სოფლების, ადმინისტრაციული ერთეულების ხელმძღვანელებს დიდი პასუხისმგებლობა გეკისრებათ. როგორ ემზადებით?

- «შუამთობა» ხეობის მკვიდრთა წიაღში დავანებული სახალხო დღესასწაულია. შუახევის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან 194 ათასი ლარია მობილიზებული თაგინურის ცენტრის კეთილმოსაწყობად. პროექტი ორწლიანია. კონკურსში გამარჯვებული შპს «დიასი 2007»-ის ხელმძღვანელმა ვახტანგ დიასამიძემ წელს ხელშეკრულებით 100 ათასი ლარი უნდა აითვისოს..

- შუახევში მნიშვნელოვან პროექტებად მიიჩნიეს სოფლების ცენტრების კეთილმოწყობა. ჭვანის ადმინისტრაციულ ერთეულში შემავალი 6 სოფლისა და ხიჭაურის დასახლების ცენტრების კეთილმოწყობა რა სტადიაზეა?

- ხიჭაურის დასახლების ცენტრი სანიმუშოდ იქცა. გვეამაყება, რომ სოფლების ცენტრების კეთილმოწყობა ჭვანიდან დაიწყო. აქ ერთ სივრცეშია განთავსებული საჯარო სკოლის, ბაგა-ბაღის, სარიტუალო დარბაზის, ადმინისტრაციული სახლის, სასოფლო ბიბლიოთეკის შენობები. მათ კარგად შეერწყა «ღია სივრცე» და სპორტული მოედანი. მასობრივი ღონისძიებები, შეხვედრები, თუ ამინდმა ხელი შეგვიწყო, «ღია სივრცეში» იმართება. დაწყებულია სოფელ ახალდაბის, დასრულდა - წყაროთასა და ცხემლისის ცენტრების კეთილმოწყობა. ახლა ჭალის - რამაზ სურმანიძის მშობლიური სოფლის ჯერია. გვქონდა სურვილი, რომ ხიჭაურში, ჭვანის ხეობის შემოსასვლელში, რამაზ სურმანიძის სახელობის სკვერი მოგვეწყო. ოჯახის წევრების თხოვნით ეს პროექტი ჭალაში გადმოგვაქვს.

- საზოგადოებას ასევე სურს, რომ ჭალაში რამაზ სურმანიძის სახლ-მუზეუმი გაიხსნას.

- ეს მოთხოვნაც არ დარჩება რეაგირების გარეშე. სკვერი რომ გაიხსნება, ბიუსტიც დაიდგმება. სახლი, რომელშიც რამაზ სურმანიძე ცხოვრობდა, კარგ მდგომარეობაშია. სკვერი, ბიუსტი, სახლ-მუზეუმი ვიზიტიორებსაც მიიზიდავს.

- ახლახან შუახევის სოფლებს სტიქიამ დიდი ზარალი მიაყენა. თქვენთან რა ვითარებაა?

- აქ ქარმა რამდენიმე ფერმერის სიმინდის ნათესები დააზიანა, ეს ზარალი სათქმელადაც არ ღირს იმასთან შედარებით, რაც უჩამბისა და დაბა შუახევის ადმინისტრაციულ ერთეულებსა და სოფელ ბრილშია. სტიქიის შემოტევისგან არავინაა დაზღვეული, თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ ბოლო წლებში ექვსივე სოფელში ფერდსამაგრ სამუშაოებზე, საყრდენი კედლების ამოყვანაზე მნიშვნელოვანი თანხები იხარჯება.

- სოფლების დაცარიელება თქვენთანაც დაიწყო?

- დარგულას უბანი თითქმის დაცარიელდა. მოსახლეობა ქალაქში, მრავალი - უცხოეთში მიდის. მათი ადგილზე დამაგრების, ცხოვრების ნორმალური პირობების შექმნისთვის ბევრი კეთდება, თუმცა პროცესის შეჩერება მაინც ვერ ხერხდება.

„გამაოგნებელია, როდესაც ომში მყოფი ხელისუფლება იცლის და დროს კარგავს ერთ-ერთ კრიმინალზე...“

საქართველოს პრემიერმა ირაკლი ღარიბაშვილმა გუშინ ჟურნალისტებთან განაცხადა: „საკვირველი კი არა, გამაოგნებელია, როდესაც ომში მყოფი ხელისუფლება იცლის და დროს კარგავს ერთ-ერთ კრიმინალზე, რომელიც სიმულანტობით ცდილობს, მთელ მსოფლიოს თავს მოახვიოს ძალიან ბევრი ტყუილი, თითქოს იგი მოწამლეს, აწამეს, კლავენ და ასე შემდეგ. საერთოდ გაუგებარია და კითხვა მინდა დავსვა საჯაროდ: ეს ხომ არ ადასტურებს კიდევ ერთხელ ჩვენ მიერ მანამდე გაცხადებულ და წარმოდგენილ მტკიცებებს, ეს განსაკუთრებით დაინტერესება სააკაშვილის თემით, რომ, სამწუხაროდ, უკრაინის ხელისუფლება სააკაშვილის ჩამოსვლის დროს იყო ინფორმირებული წინასწარ... ამას ამყარებს ის ინფორმაცია, რომელიც ჩვენს სამსახურებს აქვს მიღებული. როცა ჩამოვიდა სააკაშვილი, შემოიპარა კონტეინერით, მან უკრაინაშიც დაარღვია კანონი, უკრაინაშიც ანალოგიურად უკანონოდ გადაკვეთა საზღვარი. უკრაინის კანონმდებლობით საზღვრის უკანონო კვეთა არის დანაშაული. კითხვა ისმის: რატომ არ მოხდა დღემდე რაიმე რეაგირების მოხდენა? უფრო მეტიც, არათუ რეაგირება და გამოძიება არ დაიწყეს, არამედ პატიმარი სააკაშვილი დღემდე იკავებს თანამდებობას - მრჩეველია უკრაინის პრეზიდენტის. ასევე, კითხვა მაქვს: ყოფილი მინისტრის მოადგილე ლორთქიფანიძე, რომელიც ჩართული იყო პირდაპირ ამ გამოგზავნის ოპერაციაში, კონტრაბანდული გზით, რომ შემოაპარეს და სრული კოლაფსი განიცადეს, რატომ დააწინაურა უკრაინის ხელისუფლებამ კონტრდაზვერვის [უფროსის] მოადგილედ მას შემდეგ, რაც ჩვენ მათ - უკრაინის მხარეს წარვუდგინეთ მტკიცებულებები, მძღოლის აღიარებაც, რომელმაც უშუალოდ განახორციელა სააკაშვილის გადაზიდვა, რომ იგი ინსტრუქციებს იღებდა ლორთქიფანიძისგან. არავითარი რეაგირება არ მოუხდენიათ“.

ამირან გურიელიძე

უცხოეთი

ევროპის ადამიანის უფლებათა დაცვის სასამართლომ ოფიციალური მოსკოვის მიერ 2021 წელს ინიციირებული სასარჩელო მოთხოვნა უსაფუძვლოდ ცნო. უკრაინის იუსტიციის სამინისტროს განცხადებით, სარჩელი ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის 33-ე მუხლით იყო შეტანილი (სახელმწიფოთაშორისი ურთიერთობები) და ის უკრაინის წინააღმდეგ ერთადერთ სახელმწიფოთაშორის საჩივარს წარმოადგენდა. „სარჩელში რუსეთის ფედერაცია უკრაინას ადამიანების მკვლელობებში, გატაცებებში, იძულებით გადაადგილებაში, საარჩევნო სამართალში ჩარევაში, რუსული ენის გამოყენების შეზღუდვაში და რუსეთის საელჩოებსა და საკონსულოებზე თავდასხმებში ადანაშაულებდა“, - ნათქვამია განცხადებაში.

* * *

ერთი ქვეყნის ნატოში გაწევრიანების პროცესი არანაირად არ შეიძლება იყოს დაკავშირებული მეორე ქვეყნის ევროკავშირში გაწევრიანების პროცესთან, - აღნიშნულია ევროპარლამენტის საგარეო ურთიერთობათა კომიტეტის ანგარიშში, რომლის თანახმად, თუკი თურქეთის მთავრობის კურსი მკვეთრად არ შეიცვლება, თურქეთის ევროკავშირში გაწევრიანების პროცესი დღევანდელ ვითარებაში ვერ განახლდება. ანგარიშში თურქეთს მოუწოდებენ, ყოველგვარი შეფერხების გარეშე მოახდინოს შვედეთის ნატოში გაწევრიანების განაცხადის რატიფიცირება. ევროპარლამენტარები ადასტურებენ, რომ თურქეთი რჩება ევროკავშირში გაწევრიანების კანდიდატად, ნატოს მოკავშირედ და მთავარ პარტნიორად უსაფრთხოების, სავაჭრო და ეკონომიკური ურთიერთობებისა და მიგრაციის საკითხებში და ხაზს უსვამენ, რომ თურქეთმა პატივი უნდა სცეს დემოკრატიულ ღირებულებებს, კანონის უზენაესობას, ადამიანის უფლებებსა და დაიცვას ევროკავშირის კანონები, პრინციპები და ვალდებულებები.

* * *

აშშ-ის ყოფილმა პრეზიდენტმა დონალდ ტრამპმა განაცხადა, რომ მას კაპიტოლიუმზე შტურმის საქმეზე ბრალს წაუყენებენ. როგორც ცნობილია, 2021 წლის 6 იანვარს დონალდ ტრამპის მხარდამჭერები კაპიტოლიუმის შენობაში შეიჭრნენ, სადაც საპრეზიდენტო არჩევნების შედეგებს ამტკიცებდნენ. დემონსტრანტები ჯო ბაიდენის გამარჯვებას აპროტესტებდნენ. შენობიდან კონგრესმენთა ევაკუაცია განხორციელდა. არეულობის შედეგად 4 ადამიანი დაიღუპა. ვითარების გაკონტროლებას რამდენიმე საათი დასჭირდა, რის შემდეგაც კონგრესმა მუშაობა განაახლა და ჯო ბაიდენის პრეზიდენტის პოსტზე არჩევა დაამტკიცა. აშშ-ის კაპიტოლიუმში შეჭრის საქმეზე ფედერალურმა პროკურორებმა ბრალი 650-ზე მეტ ადამიანს წაუყენეს.

* * *

მეხანძრეები ევროპაში ძლიერი სიცხით გამოწვეულ ტყის ხანძრებს ებრძვიან, იწვის ტერიტორიები, შენობები და ხორციელდება ათასობით ადამიანის ევაკუაცია. ხანძრებს ებრძვიან ესპანეთის კუნძულ ლა პალმაზე, საბერძნეთსა და შვეიცარიაში. ძლიერი სიცხეა იტალიაშიც, სადაც ტემპერატურამ შესაძლოა, 46 გრადუსს მიაღწიოს, ინდოეთში კი წყალდიდობაა - გადაუღებელი სეზონური წვიმის შედეგად მდინარე იამუნა კალაპოტიდან გადმოვიდა, ადიდებული წყალი კი ქალაქ აგრაში თაჯ-მაჰალს მიუახლოვდა და ძეგლს დატბორვით ემუქრება. საფრთხე ექმნება მოსახლეობასაც.

მოამზადა
ია შველიძემ

შავი ზღვის წყლის ხარისხი კვლავ ნორმის ფარგლებშია

მარიამ ხითარიშვილი 27 48 93

სოციალურ ქსელში გავრცელდა ინფორმაცია, თითქოს 25 ივლისიდან ბათუმის შავი ზღვის პლაჟი დაიხურება. ჩვენ დავუკავშირდით ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის პრესსამსახურს და ვკითხეთ, შეესაბამება თუ არა სიმართლეს აღნიშნული ინფორმაცია. პასუხად მივიღეთ, რომ ეს აზრი მცდარია, მეტიც, შავი ზღვის წყლის ხარისხი გასული წლის ნორმებთან შედარებით უკეთესიც კია

გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს გარემოს ეროვნულმა სააგენტომ მონიტორინგის ბოლო შედეგები გამოაქვეყნა, რომლის თანახმადაც შავი ზღვის წყლის სინჯებში განსაზღვრული 59 პარამეტრის მნიშვნელობები ნორმის ფარგლებშია.

ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის ხელმძღვანელის ინფორმაციით, საქართველოს საზღვაო კურორტებზე ზაფხულის ტურისტულ სეზონზე გაზრდილია დამსვენებელთა რაოდენობა. შავი ზღვის საქართველოს სანაპირო ზოლი საერთაშორისო სტანდარტებს და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ ყველა სტანდარტს აკმაყოფილებს, შესაბამისად, საქართველოში, შავ ზღვაში ბანაობა უსაფრთხოა.

- ჩვენ მუდმივი კომუნიკაცია გვაქვს კერძო სექტორის წარმომადგენლებთან, შემომყვან ტურისტულ კომპანიებთან, ტუროპერატორებთან, ასევე, მუდმივ საინფორმაციო კამპანიას ვაწარმოებთ და საზოგადოებას საქმის კურსში ვაყენებთ, ვატყობინებთ ახალი კვლევის შედეგებს. განისაზღვრა ქიმიური პარამეტრები, მათ შორის 13 მძიმე მეტალი, ნავთობის ჯამური ნახშირწყალბადები, 16 პოლიაორმატული ნახშირწყალბადისა და სხვა ფიზიკურ-ქიმიური პარამეტრის კონცენტრაცია. აღსანიშნავია, რომ ზღვის სანაპირო ტურისტებითაა სავსე, ზაფხულის სეზონი პიკს აღწევს და ველოდებით როგორც საერთაშორისო, ასევე ადგილობრივ მოგზაურებს. დაბინძურების ფაქტი ლაბორატორიული კვლევებით არ დასტურდება. გარემოს დაცვის ეროვნული სააგენტო 10 დღეში ერთხელ იღებს სინჯებს და დამსვენებლებს საფრთხე არ ემუქრებათ. აღებული სინჯები საანალიზოდ გარემოს ეროვნული სააგენტოს ატმოსფერული ჰაერის, წყლისა და ნიადაგის ანალიზის აკრედიტებულ ლაბორატორიაში იგზავნება, რომელიც აღჭურვილია მაღალი სიზუსტის ანალიტიკური ხელსაწყოებით და სრულად აკმაყოფილებს თანამედროვე მოთხოვნებსა და სტანდარტებს, - განაცხადა ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის ხელმძღვანელმა მაია ომიაძემ.

როგორც ცნობილია, გარემოს ეროვნული სააგენტო შავი ზღვის წყლის ხარისხის მონიტორინგს 10 დღეში ერთხელ 9 სადგურზე ახორციელებდა. 10 ივლისიდან არსებულებს ანაკლია-განმუხურის ტერიტორიაზე 3 წერტილი დაემატა.

შვიდი წელი – თურქეთში 15 ივლისის გადატრიალების მცდელობიდან

სასტუმრო „რედისონ ბლუ ბათუმში“ 15 ივლისს დემოკრატიისა და ეროვნული ერთობის დღისადმი მიძღვნილი ღონისძიება ბათუმში თურქეთის რესპუბლიკის გენერალურმა საკონსულომ გამართა. ამ საზეიმო დღესთან დაკავშირებით მოწვეულ მრავალრიცხოვან სტუმართა შორის იყვნენ აჭარის უმაღლესი საბჭოსა და ბათუმის საკრებულოს წევრები, მასმედიისა და საზოგადოებრივი ორგანიზაციების წარმომადგენლები.

შეკრებილ აუდიტორიას ვრცელი სიტყვით მიმართა ბათუმში თურქეთის რესპუბლიკის გენერალურმა კონსულმა რიზა ქაღან ილმაზმა. მან აღნიშნა, რომ შვიდი წელი გავიდა თურქეთში 15 ივლისის გადატრიალების მცდელობიდან, რომელიც ფეტულაჰის ტერორისტულმა ორგანიზაციამ დაგეგმა და სამხედრო სარდლობის გვერდის ავლით განახორციელა შეიარაღებულ ძალებში შეღწეული წევრების მეშვეობით, რის შედეგადაც 251 მოქალაქე დაიღუპა და ორი ათასზე მეტი - დაშავდა.

თურქეთის რესპუბლიკის გენერალური კონსულის თქმით, აღნიშნული ფაქტი იყო მუხანათური ჩანაფიქრი, რომლის სამიზნე თურქეთის დემოკრატიული ლეგიტიმური მთავრობა და კონსტიტუციური წესრიგი გახლდათ.

რიზა ქაღან ილმაზმა ხაზი გაუსვა შემდეგ მნიშვნელოვან ასპექტებს: „თურქეთის საუკუნის გმირების, ბრძოლისა და შეუპოვრობის წყალობით, ჩვენი რესპუბლიკის მეორე საუკუნე მრავალ სფეროში „თურქეთის საუკუნედ“ იქცევა.

ჩვენი რესპუბლიკის მეორე საუკუნის, „თურქეთის საუკუნის“ მრავალ სფეროში ინოვაციებითა და ახალი მიღწევებით დაგვირგვინების პროცესში მეცნიერები, ხელოვანები, სპორტსმენები, მეწარმეები და ბიზნესმენები ასრულებენ გმირული ეპოსის მსგავს, ჩვენი სახელმწიფოს დიდებისთვის შესაფერის საქმეს იმ ძალითა და სიმამაცით, რაც მათ 15 ივლისს ჩვენი ხალხის შემართებამ შესძინა...

15 ივლისის ღამეს ჩვენმა ხალხმა ერთობით იბრძოლა დამოუკიდებლობისა და მომავლისთვის. ამ კონტექსტში მსურს დაწვრილებით მოგაწოდოთ ინფორმაცია 15 ივლისის ღამეს მომხდართან დაკავშირებით. აღნიშნულ ღამეს პრეზიდენტის სასახლეზე, თურქეთის დიდი ეროვნული კრების შენობაზე, გენერალურ შტაბზე, სპეცდანიშნულების ცენტრზე, ეროვნული დაზვერვის სამმართველოსა და შინაგან საქმეთა სამინისტროს მთავარ სამმართველოზე თავდასხმა განხორციელდა. პრეზიდენტის დასამხობად ბოროტმოქმედთა ჯგუფი გაიგზავნა. ჩვენს ისტორიაში პირველად, ქალაქებში ტანკებით და სამხედრო თვითმფრინავებით მშვიდობიან მოსახლეობაზე განხორციელდა შეტევა, სასტიკად დახოცეს ადამიანები და ერის ნების გამოხატულების სიმბოლოდ მიჩნეული მეჯლისი, თურქეთის დიდი ეროვნული კრების შენობა დაბომბეს.

15 ივლისი იყო ყველაზე ორგანიზებული ტერორისტული თავდასხმა, რომელიც დღემდე ყოფილა და თავიდანვე გასაგები გახდა, რომ გადატრიალების მცდელობის უკან იდგა ფეტულაჰის ტერორისტული ორგანიზაცია. გადატრიალება ხორციელდებოდა ბრძანება-მეთაურობის ჯაჭვის მიღმა, შეიარაღებულ ძალებში შეღწეული FETÖ-ს წევრებისა და მათი მაკონტროლებელი ორგანიზაციის სამოქალაქო საიდუმლო „იმამების“ ხელით. იმავე ღამეს ზოგიერთი სამოქალაქო საიდუმლო „იმამი“, რომელიც იმყოფებოდა გადატრიალების ცენტრად ქცეულ სამხედრო ბაზაზე, იქნა დაკავებული. გასული წლების განმავლობაში სიღრმისეული გამოძიებაც ამ რეალობას ამტკიცებს.

15 ივლისის მოვლენებმა ტერორისტული ორგანიზაცია FETÖ-ს მიერ ჩვენი სახელმწიფოსკენ მიმართული დიდი საფრთხე გამოავლინა. ამ საფრთხის აღმოსაფხვრელად უდიდესი წილი ეკუთვნის თურქ ხალხს, რომელმაც აჩვენა, რომ საკუთარ ნებაზე მაღლა არ აღიარებს არანაირ ძალაუფლებას, სახელმწიფოსა და დემოკრატიული მონაპოვრის დასაცავად მზად არის საკუთარი სიცოცხლე გაიღოს. დიდი ძალისხმევის შედეგად მიღწეული ეს მონაპოვარი დაცული იქნება ნებისმიერ ფასად, შესაბამისი პასუხი გაეცემა ყველა სახის შიდა თუ გარე მცდელობას, რომელიც მიმართული იქნება თურქი ხალხის დამოუკიდებლობის წინააღმდეგ.

გასული შვიდი წლის განმავლობაში ჩვენი სახელმწიფოს ერთ-ერთი მთავარი პრიორიტეტი გახლდათ შეუჩერებლად და იგივე შემართებით FETÖ-ს წინააღმდეგ ბრძოლა, როგორც ქვეყნის შიგნით, ასევე მის ფარგლებს გარეთ. ქვეყნის შიგნით, უპირველეს ყოვლისა, კანონის უზენაესობის პრინციპის საფუძველზე უზრუნველყოფილი იქნა 15 ივლისის მოვლენებზე პასუხისმგებელი პირების პასუხისგებაში მიცემა. გარდა ამისა, გაიშიფრა FETÖ-ს ორგანიზებული სტრუქტურა სახელმწიფო ინსტიტუტებში, მის წევრებთან დაკავშირებით დაწყებული იქნა ადმინისტრაციული და სამართლებრივი პროცესები, ჯამში ორგანიზაციის „პარალელური სახელმწიფოს სტრუქტურა“ განადგურდა. ასევე ლიკვიდირებული იქნა FETÖ-ს სახელმწიფო ინსტიტუტების მიღმა დარჩენილი ფრონტალური ფორმირებები, რომლებიც განათლებით დაწყებული, მედიისა და საბანკო სექტორის ჩათვლით, გავრცელებული იყო ეკონომიკის ყველა სფეროში.

FETÖ არის ტერორისტული ორგანიზაცია, რომელიც ჰუმანიტარულ დახმარებას, განათლებასა და ვაჭრობას ამოფარებული მოქმედებს და მსოფლიოს სხვადასხვა კუთხეში აქვს გავლენა მოპოვებული. ეს ორგანიზაცია დიდ საფრთხეს წარმოადგენს არა მხოლოდ თურქეთისთვის, არამედ იმ ქვეყნებისთვის, სადაც იგი საქმიანობს. ბევრმა სახელმწიფომ, რომლებმაც გაიაზრეს ეს საფრთხე, თავიანთ ქვეყნებში შეწყვიტეს FETÖ-სთან დაკავშირებული სკოლებისა და არასამთავრობო ორგანიზაციების საქმიანობა. თურქეთი გლობალური მასშტაბით იბრძვის ტერორიზმის წინააღმდეგ.

თურქი ხალხი არასოდეს დაივიწყებს იმას, რომ იმ მუხანათური ღამის შემდეგ, როცა თურქეთში ჩამოსვლასთან დაკავშირებით ზოგიერთი ქვეყანა ყოყმანობდა, 19 ივლისს, ვინც თურქეთს ერთ-ერთი პირველი ვიზიტით ეწვია, გახლდათ სტრატეგიული პარტნიორი, მეგობარი და უახლოესი მეზობელი ქვეყნის - საქართველოს პრემიერ-მინისტრი, რომელმაც მხარდაჭერა გამოგვიცხადა. 15 ივლისის მუხანათური გადატრიალების მცდელობის მიუხედავად, 2016 წლის 19 ივლისს ანკარაში ჩატარდა წინასწარ დაგეგმილი თურქეთ-საქართველოს მაღალი დონის სტრატეგიული თანამშრომლობის საბჭოს პირველი სხდომა, რომლის ფარგლებშიც იმდროინდელი საქართველოს პრემიერ-მინისტრი გახდა პირველი მაღალი რანგის უცხოელი უფლებამოსილი, ვინც 15 ივლისის შემდეგ ჩვენს ქვეყანას ეწვია.

FETÖ ძალიან საშიში, ახალი თაობის ტერორისტული ორგანიზაციაა, რომელიც ახორციელებს საიდუმლო დაზვერვას და შეიარაღებულ მოქმედებებს იმ წარმოსახვითი იდეოლოგიით, რომ ფეთჰულა გიულენი, რომელსაც იგი „რჩეულ პიროვნებად“ თვლის, არის „სამყაროს იმამი“. ეს არის საიდუმლო, სადაზვერვო და ტერორისტული სტრუქტურა, რომელიც ცდილობს, სახელმწიფოები შიგნიდან დაიპყროს და რომელიც არ ცნობს რაიმე ზნეობრივ, რელიგიურ ან პიროვნულ ღირებულებებს.

უსაფრთხოების საგანგებო გამოწვევების მიუხედავად, ქვეყნის შიგნით წარმოებული ბრძოლა განხორციელდა კანონის უზენაესობის, ფუნდამენტური უფლებებისა და თავისუფლებების დაცვის საფუძველზე. ჩვენმა ხალხმა დაიცვა ჩვენი ქვეყნის მომავლისა და დამოუკიდებლად გადაწყვეტილების მიღების უფლება.

ამ პროცესში ქვეყნის შიგნით თავისი სტრუქტურის შესუსტების შედეგად, FETÖ-მ შეცვალა სტრატეგია და დაიწყო საზღვარგარეთ საქმიანობაზე ფოკუსირება. აღნიშნულიდან გამომდინარე, თურქეთის ფარგლებს გარეთ FETÖ-ს სტრუქტურების წინააღმდეგ ბრძოლამ უფრო მეტი მნიშვნელობა შეიძინა. საზღვარგარეთ FETÖ-ს სტრუქტურის წინააღმდეგ ბრძოლა კვლავ რჩება ჩვენი საგარეო საქმეთა სამინისტროს ერთ-ერთ უმთავრეს პრიორიტეტად. FETÖ საფრთხეს უქმნის იმ ქვეყნებს, სადაც ის იმყოფება. იგი მიზნად ისახავს პოლიტიკური და ეკონომიკური გავლენის სფეროების შექმნას. ამ მხრივ ის არ ერიდება კანონის დარღვევას და მუშაობს როგორც კრიმინალური და სადაზვერვო ორგანიზაცია, რაც ხაზგასმულია კონკრეტული მაგალითებით.

არარეალურია FETÖ-ს მეთაურის წარმოჩენა „გულისხმიერ მქადაგებლად“, ხოლო ორგანიზაციისა - „მოხალისეობრივ საგანმანათლებლო სტრუქტურად“. იმ ორგანიზაციის წევრების თავშესაფრის მოთხოვნის დაკმაყოფილება, რომლებმაც აქტიური როლი ითამაშეს გადატრიალების მცდელობაში და საზღვარგარეთ გაქცევით გააგრძელეს ორგანიზაციასთან ურთიერთობა, ქმნის როგორც საერთაშორისო რისკს, ასევე არღვევს საერთაშორისო სამართალს. გამომდინარე იქიდან, რომ FETÖ საერთაშორისო საფრთხეს წარმოადგენს, აუცილებელია, რომ მასთან ბრძოლა საერთაშორისო თანამშრომლობის ფარგლებში გაგრძელდეს.

საზღვარგარეთ FETÖ-ს სტრუქტურაში დასაქმებული პირების, ორგანიზაციის დამფინანსებელი ფიზიკური პირებისა და ორგანიზაციების აქტივების გაყინვასთან დაკავშირებულ მოთხოვნებზე მუშაობა შესაბამის ინსტიტუტებთან კოორდინაციით მიმდინარეობს.

საერთაშორისო ასპარეზზე დაიწყო იმის გააზრება, რომ ორგანიზაცია FETÖ, რომელიც შეიძლება შეფასდეს, როგორც ახალი თაობის ტერორისტული ორგანიზაცია, არ არის საზოგადოებრივი მოძრაობა, იგი ცდილობს, თავი ისე წარმოაჩინოს, თითქოს განათლებასთან და ქველმოქმედებასთან არის დაკავშირებული, სინამდვილეში კი ეს არის ბნელი და მზაკვრული ორგანიზაცია, რომელსაც აქვს პოლიტიკური და ეკონომიკური ამბიციები.

ზოგიერთმა ქვეყანამ და საერთაშორისო ორგანიზაციებმა FETÖ ტერორისტულ ორგანიზაციად გამოაცხადა.

თურქეთის დიდი ეროვნული კრების ოთხი პოლიტიკური პარტიის ფრაქციის მიერ, FETÖ-ს წინააღმდეგ ბრძოლის ფარგლებში, 2019 წლის 9 დეკემბერს FETÖ-ს შესახებ ერთობლივი განცხადება გამოქვეყნდა. მასში ნათქვამია, რომ უახლოეს მომავალში მოსალოდნელია FETÖ-ს წევრებისა და განსაკუთრებით, ფეთჰულა გიულენის ჩვენს ქვეყანაში ექსტრადირება. ეს გააძლიერებს ჩვენს ძალისხმევას FETÖ-ს წინააღმდეგ ბრძოლაში. მესამე ქვეყნებში FETÖ-ს შესახებ შექმნილმა ცნობიერებამ გამოიწვია ამ ელემენტების საქმიანობის მკაცრი მონიტორინგი და მოკვლევა. სხვადასხვა ქვეყანაში გამოაშკარავებული იქნა FETÖ-სთან დაკავშირებული წარმონაქმნების მიერ ჩადენილი უკანონო ქმედებები.

მტკიცედ გვაქვს გადაწყვეტილი, გავაგრძელოთ FETÖ-სთან ბრძოლა სამი ღირებულების ფარგლებში, რომლებსაც ეს ორგანიზაცია არაფრად აგდებს და მიზნად ისახავს მათ მოშლას, ესენია: კანონის უზენაესობა, ზნეობა და დემოკრატია. ვიცით, რომ ეს არის ტერორიზმის ყველა ფორმასთან გამკლავების გზა.

ვიცით, რომ საზღვარგარეთ არსებულ FETÖ-ს სტრუქტურების წინააღმდეგ ჩვენი ძალისხმევა იქნება გრძელვადიანი. მიუხედავად ამისა, მტკიცედ გვაქვს გადაწყვეტილი, გავაგრძელოთ ბრძოლა მის წინააღმდეგ“, - თქვა თურქეთის რესპუბლიკის გენერალურმა კონსულმა. დასასრულ მან საგანგებოდ აღნიშნა, რომ თურქი ხალხი პატივს მიაგებს მუხანათური გადატრიალების მცდელობისა და სხვა თავდასხმების დროს სამშობლოსთვის დაღუპულთა, „თურქეთის საუკუნის გმირების“ ხსოვნას და დიდ მადლიერებას გამოხატავს ვეტერანებისადმი.

მარი მიდასელი

„ზუსტად იმ გზით ვივლიდი, რა გზაც გამოვიარე“

ლაშა ხომერიკი 593 50 82 69

რამდენად წარმატებით ფლობს ადამიანი კოგნიტურ უნარ-ჩვევებს, როგორ აცნობიერებს თავის იდენტობას, როგორია მისი მენტალიტეტი, უპირველესად, სასწავლო პროცესზეა დამოკიდებული, რომლის სწორად წარმართვაში მასწავლებლის როლი მნიშვნელოვანია და ეს როლი უფრო გამოკვეთილია, როცა მას შემოქმედი მასწავლებელი ასრულებს. ამ აზრს განამტკიცებს წარმატებული პედაგოგისა და მწერლის ნინო ქადაგიძის მოღვაწეობა. რას აკეთებს და როგორ, რას ფიქრობს ცხოვრების არსზე, რას ურჩევს ახალგაზრდებს, ამას დღევანდელი ინტერვიუდან გაიგებთ. მაშ ასე, ნომრის სტუმარია ქალბატონი ნინო ქადაგიძე

- ჩვენს გაზეთს ერთი წლის წინათ სტუმრობდით, მას შემდეგ რა სიახლეა თქვენს შემოქმედებაში?

- მოგესალმებით თქვენ და მკითხველს. მადლობელი ვარ, კიდევ რომ მომეცა თქვენთან სტუმრობის საშუალება. რაც შეეხება სიახლეს, ბედნიერი ვარ, რომ ორი ახალი წიგნით დავიმშვენებ ხელს წლის ბოლოს და ალბათ ჩემს მკითხველსაც გაუხარდება. ესაა ზღაპრების კრებული და 8 წლის გოგონას ამბავი, რომელიც მეგობრობის დღიურს წერს. სახალისო, დამაფიქრებელი და შემეცნებითიცაა ორივე კრებული ჩვენი მომავალი თაობისათვის.

- გილოცავთ „პალიტრა-L“-ის კონკურსში გამარჯვებას, საბავშვო ბესტსელერის ავტორის წოდება დიდი მიღწევაა. რას იტყვით ამ კონკურსის დანიშნულებასა და შედეგებზე?

- მადლობა მოლოცვისთვის. გამარჯვება ნამდვილად მოულოდნელი იყო, რადგან რედაქციაში თქვეს, რომ დაახლოებით 160-მდე კონკურსანტმა გააგზავნა ნაწარმოები და მეორე ტურში გადასულთა ჩამონათვალიც საკმაოდ ვრცელი იყო.

- უკვე რამდენიმე პრემიის ლაურეატი ხართ, ყველაზე მნიშვნელოვნად რომელს მიიჩნევთ?

- ვერც ერთს გამოვყოფ. გოდერძი ჩოხელს თავისი სევდიანი ხმა და ადგილი აქვს ჩემს მინიატურებში, რევაზ ინანიშვილის სიტყვის სიტკბო სხვანაირად იღვრება... ზოგადად, ერთგვარი სტიმული იყო ჩემთვის და საკუთარ თავში ძალები მაპოვნინა, რომ არ შევჩერებულიყავი და მეწერა, დამეჯერებინა, რომ ადამიანებისთვის სულ ერთი არ არის, რასაც ვწერ...

- ფურცელზე წერთ თუ ნოუთბუქზე? შემოქმედებითი პროცესისათვის რომელია უფრო ეფექტური?

- ადრე უფრო ფურცელზე წერა მიყვარდა. სხვა ინტიმია ფურცელსა და ავტორს შორის, თან განსაკუთრებით, როდესაც ფანქრით წერ. წერის დროს ფანქრის შრაშუნის ხმაც კი მიყვარდა. მერე, რაც უფრო გაიზარდა მოთხრობა თუ მინიატურა, ნელ-ნელა ჩაანაცვლა ფურცელი ნოუთბუქმა. ასე უფრო კომფორტული აღმოჩნდა წერა. თან ძალიან მიყვარს დაწერილი ტექსტის, მინიმუმ, ოცჯერ მაინც გადაკითხვა. აი, როგორც მოზელილ ცომს ასვენებს ხოლმე დიასახლისი (არის კულინარიაში ასეთი გამოთქმა - ახლა დავასვენოთ ცომი), ასე ვასვენებ ხოლმე ტექსტს მეც. შევინახავ ფაილში და დავივიწყებ. რამდენიმე ხნის შემდეგ ვუბრუნდები, ვკითხულობ სრულიად უცხო თვალით და მიკვირს ხოლმე, რომ ეს მე დავწერე, სხვისი დაწერილი ტექსტი მგონია ხანდახან. საკუთარი თავისთვისაც კი დამისვამს კითხვა, ეს როგორ დავწერე, რამ დამაწერინა, რატომ დავწერე...

- ბედი გწყალობთ თუ ბედს თავად ქმნით, ანუ ბედი გონიერი არჩევანის შედეგია თუ გამართლება?

- ბედი გონიერი არჩევანიცაა და გამართლებაც. მხოლოდ ბედისწერისა არ მჯერა. იმის არ იყოს, ზღვაში რომ კაცი იხრჩობა, ხელი გაანძრიე და გეშველებაო. ყველაფერს შრომა, დაფიქრება, პასუხისმგებლობით მიდგომა, პატიოსნება და ცოტა გამართლებაც სჭირდება. ასევე, ბედი ცოცხალი ურთიერთობაცაა ღმერთთან. თუ რაიმე უნდა შეგემთხვას, ალბათ თხოვნითა და შენი დამოკიდებულებით იცვლება ის მოწეული განსაცდელი. მე შემემთხვა ერთხელ... არ ვიცი, რა ძალა მიბიძგებდა, მაგრამ თითქოს გულიდან კი არა, მუცლიდან ამოდიოდა ღაღადისი, მთელი ჩემი არსებით ვამბობდი „უფალო, შემიწყალეს“, თან მიკვირდა, ასეთი სურვილი ლოცვისა არასდროს მქონია, ცოტაც შემეშინდა. გამოვედი ტაძრიდან და დაახლოებით ათ წუთში ისეთ ავარიაში მოვყევი, მანქანა ჯართში ჩავაბარეთ, სხეულზე ნაკაწრიც კი არ მქონდა. ყველა გაოცებული მიყურებდა, აქედან ცოცხალი როგორ გადმოხვედიო. რომ დავიბადეთ და ვცოცხლობთ, ესეც გამართლება და წყალობაა ალბათ...

- როცა სიცოცხლის არსზე ფიქრობთ...

- უჰ, თან როგორ მიყვარს ფიქრი... ჩემთვის სიცოცხლის არსი იმაში მდგომარეობს, რომ ისე იცხოვრო, სული სავსე გქონდეს სიმშვიდით, ისე მიუდგე საკითხებსა თუ პრობლემებს, სულიერი წონასწორობა არ დაკარგო...

- წამები, რომელთა შეჩერება გინატრიათ...

- სამწუხაროდ, ძალიან ბევრია ასეთი წამი ჩემი შეცდომების გამო და შევაჩერებდი, რომ შეცდომა არ დამეშვა... ასევე, სასიხარულოდ, ძალიან ბევრია ისეთი წამიც, რომლის განცდაც კიდევ მენატრება, განსაკუთრებით ბავშვობიდან.

- წარსულში გვიდგას ფესვები... ქვეყნის ისტორიის გაცნობიერება და გათავისება რამდენად გვეხმარება სრულყოფილ, შემდგარ პიროვნებად ჩამოყალიბებაში?

- რა თქმა უნდა, გადამწყვეტია. პიროვნებად რომ შედგე, აუცილებელია, იცოდე, ვინ ხარ, საიდან მოდიხარ, როგორია შენი წინაპარი, რა გამოიარა შენმა ქვეყანამ და ა.შ... გურამიშვილიც ხომ ასე წერს: „ყმაწვილი უნდა სწავლობდეს, საცნობლად თავისადაო, ვინ არის, სიდან მოსულა, სად არის, წავა სადაო“...

- როგორ ფიქრობთ, საზოგადოებისათვის ახლა ყველაზე მნიშვნელოვანი რომელი პრობლემაა? რა გვიშლის ხელს წარმატებაში?

- ამ ბოლო დროს ცოტა შემაშინა ჩვენი საზოგადოების გულგრილობამ, უსიყვარულობამ, უპატივცემულობამ, ერთმანეთის ადვილად გამეტებამ სიტყვით თუ საქმით. ეს განსაკუთრებულად იგრძნობა სოციალურ ქსელებში. ასევე, დამაფიქრა მოზარდების უბედურმა შემთხვევებმა, ამ ბოლო დროს ისე გახშირდა ბავშვების გარდაცვალების ამბები... დამთრგუნველია ძალიან. ალბათ, თავის საქმეს ყველა დიდი პასუხისმგებლობით რომ ეკიდებოდეს, მოზარდთა ამდენი სიკვდილიანობა არ იქნებოდა.

- თქვენი მრავალწლიანი პედაგოგიური მოღვაწეობის განმავლობაში რა შეიცვალა სწავლების თვალსაზრისით უკეთესობისაკენ?

- თავად სწავლების მიმართ მასწავლებლების მიდგომა. ასწავლი არა მხოლოდ იმისთვის, რომ იცოდეს, არამედ იმისთვის, რომ გამოიყენოს ეს ცოდნა... „არა ვიქმ, ცოდნა რას მარგებს ფილოსოფოსთა ბრძნობისა“ - შეგვიძლია გავიხსენოთ რუსთაველის ეს შეგონება. ცოდნა უნდა მოიხმაროს ადამიანმა. თუ ვერ მოიხმარს, ფუჭია მისი ცოდნა. მიწაში ჩამარხულ ოქროს ემსგავსება.

- ახლა რომ გამოდიოდეთ ასპარეზზე, რა გზას აირჩევდით?

- ზუსტად იმ გზით ვივლიდი, რა გზაც გამოვიარე, მხოლოდ უფრო მობილიზებული ვიქნებოდი, დროს გადავანაწილებდი სწორად. სამწუხაროდ, დრო არ გვიცდის, ხელიდან გვისხლტება. ამიტომ უფრო ეფექტურად გამოვიყენებდი ჩემი, ახლობლების, მოსწავლეების თუ მკითხველების საკეთილდღეოდ...

- რას ურჩევდით კოლეგებს, ახალგაზრდებს, ანუ გამოცდილება, როგორც ესტაფეტა ახალი თაობისათვის?

- მთავარია საქმის სიყვარული, საკუთარი თავის გაცნობა, შრომისმოყვარეობა და პატიოსნება. კეთილსინდისიერად უნდა მიუდგე შენს საქმეს... ეს ყველაფერი კი, პირველ რიგში, საკუთარ თავთან და შემდეგ სამყაროსთან ჰარმონიულობის მიღწევაში დაგვეხმარება.

- ფრაზა, რომლითაც დაასრულებთ ამ ინტერვიუს?

- ჩემივე ფრაზით დაგემშვიდობებით თქვენ და მკითხველებს: - გატკინეს? ნუ დარდობ, შენს მარცხნივ მიგულე...

> *„სხვა ინტიმია ფურცელსა და ავტორს შორის, თან განსაკუთრებით, როდესაც ფანქრით წერ. წერის დროს ფანქრის შრაშუნის ხმაც კი მიყვარდა. მერე, რაც უფრო გაიზარდა მოთხრობა თუ მინიატურა, ნელ-ნელა ჩაანაცვლა ფურცელი ნოუთბუქმა. ასე უფრო კომფორტული აღმოჩნდა წერა. თან ძალიან მიყვარს დაწერილი ტექსტის, მინიმუმ, ოცჯერ მაინც გადაკითხვა. აი, როგორც მოზელილ ცომს ასვენებს ხოლმე დიასახლისი (არის კულინარიაში ასეთი გამოთქმა - ახლა დავასვენოთ ცომი), ასე ვასვენებ ხოლმე ტექსტს მეც*

სჯერა ამოუწურავი შესაძლებლობების და „ოსკარსაც“ გვპირდება

მარიამ ხითარიშვილი 27 48 93

დღევანდელი ბლიცინტერვიუს სტუმარი ნიჭიერი რეპერი და რეჟისორი ზაზა ნოზაძეა. მის სიმღერებს სოციალურ ქსელებში მილიონობით ნახვა აქვს და მსმენელის სიყვარულს ყოველთვის იმსახურებს

- დავიბადე...

- 1990 წლის 23 დეკემბერს, თბილისის პირველ სამშობიაროში.

- ვიქნებოდი...

- ვინც ვარ.

- საქართველოში რომ არ დავბადებულიყავი, დავიბადებოდი...

- სადმე, ბრუკლინის პირველ სამშობიაროში.

- დილა იწყება...

- თავის მოწესრიგებით.

- ბავშვობაში მინდოდა...

- ფეხბურთელობა.

- სიტყვა, რომელსაც ხშირად ვიყენებ...

- „ბაზარი არაა“ (ყველაფერს უხდება - აღტაცებას, თანხმობას, გაბრაზებასაც კი).

- ყველაზე კარგი რჩევა, რომელიც მოუციათ...

- როგორც იცხოვრებ, ისე იქნები.

- ცნობილი ადამიანები, რომლებსაც პირადად იცნობ...

- ბევრს.

- საყვარელი მუსიკალური მიმდინარეობა და შემსრულებელი...

- ჰიპ-ჰოპი. შემსრულებლებიდან - კენდრიქ ლამარი და მეთოდ მენი. კიდევ ძალიან ბევრი არტისტი მომწონს, ძველიც და ახალიც.

- ბოლოს წავიკითხე...

- „აღმოხდების მზე“ - ჰემინგუეი.

- მოგონება ბავშვობიდან...

- შევარდნაძე.

- პირველი წარმატება...

- ბავშვობაში ფეხბურთზე დავდიოდი და არ მავიწყდება, რომ ტურნირზე, სადაც პირველად ვთამაშობდი, გოლი გავიტანე. პირველ გოლს მოვიაზრებ პირველ წარმატებად.

- არასოდეს...

- ყოველთვის (თუ კაია)!

- მეშინია...

- საყვარელი ადამიანების დაკარგვის.

- ვიბრძოლებ...

- მშვიდობისთვის, თავისუფლებისთვის.

- განვიცდი...

- იმედგაცრუებას.

- სხვებისგან განვსხვავდები...

- „არავისზე მეტი და ნაკლებიც არავისზე“ (ამონარიდი ჩემი ერთ-ერთი სიმღერიდან).

- ჩემი თვისებებიდან ვმალავ...

- ვმალავ, არა, მაგრამ ვებრძვი სულსწრაფობას.

- ბავშვობაში მეგონა, რომ...

- არსებობდა მარტო საქართველო, რუსეთი და ამერიკა (გავიზარდე და თურმე, მართლა ასე ყოფილა).

- დღე, რომელმაც ჩემი ცხოვრება შეცვალა...

- ყველა დღე, რომელიც თენდება, ცვლის ჩემს ცხოვრებას.

- მჯერა...

- ამოუწურავი შესაძლებლობების.

- არ მჯერა...

- პოლიტიკოსების.

- ვაპროტესტებ...

- უსამართლობას.

- უნარი, რომელსაც მინდა ვფლობდე...

- აგრონომიას მინდა ვფლობდე უკეთ.

- მინდა გავიცნო...

- გონსალეს ინარიტუ.

- ბოლოს ვიტირე...

- რომელიღაც ფილმის ბოლოს, ახლახან.

- სიტყვა, რომელიც არ მიყვარს...

- „ბასანოშკები“.

- საკუთარ თავში მომწონს...

- თავისუფლება.

- საკუთარ თავში არ მომწონს...

- როცა ვსვამ, ვხვრინავ.

- სხვებში ყველაზე მეტად ვაფასებ...

- კეთილშობილებას.

- მაღიზიანებს...

- ეგოიზმი.

- ყველაზე რთული პერიოდი...

- ბიძაჩემის გარდაცვალება.

- ყველაზე ბედნიერი ვარ...

- როცა ტვინს არაფერი „მიკლავს“.

- ნივთი, რომელსაც სულ ვატარებ...

- ჯვარი.

- ვერასოდეს ვაპატიებ...

- უმადურობას, სიბრმავეს და ღალატს.

- საუკეთესო, რაც მაქვს...

- საყვარელი ადამიანები.

- ვნანობ...

- რომ ბევრ რამეს გვიან ვნანობ.

- ყველაზე ძვირფასი საჩუქარი, რაც მიმიღია...

- ქრისტინა.

- ახლა ყველაზე მეტად მინდა...

- ცოტა გამოძინება.

- 10 წლის შემდეგ...

- მორიგი ინტერვიუ ჩავწეროთ და მაგ დროს თაროზე „ოსკარით“ დაგხვდებით.

ნინო წილოსანი – აჭარის მთიანეთში

საქართველოს პარლამენტის აგრარულ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარე ნინო წილოსანი კომიტეტის აპარატის, ა(ა)იპ „სოფლის განვითარების“ და სსიპ „აწარმოე საქართველოში“ სააგენტოების წარმომადგენლებთან ერთად აჭარის მთიანეთში იმყოფებოდა

- ქედაში აგრარულ საკითხთა კომიტეტის სხდომა გაიმართა. მონაწილეებს მიესალმნენ ნინო წილოსანი და ქედის მუნიციპალიტეტის მერი როლანდ ბერიძე. სააგენტოების წარმომადგენლებმა ირინა გიორგიძემ, ბესიკ ტრაპაიძემ, თეა კუპრაძემ, ნია კობახიძემ პროექტის ფარგლებში სასწავლო სემინარი ჩაატარეს თემაზე: „მეწარმეობის პრაქტიკული კურსი - როგორ დავიწყოთ და განვავითაროთ სოფლად ბიზნესი“. სასწავლო კურსის მიზანია მეწარმეობის შესახებ თეორიული ცოდნის ამაღლება, სახელმწიფო პროექტების შესახებ ინფორმაციის გაზიარება და ბიზნესის წარმოების პრაქტიკული უნარების გაძლიერება. ქედაში მეწარმეებს საქართველოს პარლამენტის აგრარულ საკითხთა კომიტეტის აპარატის წევრები და აჭარის სოფლის მეურნეობის სამინისტროს წარმომადგენლები შეხვდნენ. მეწარმე ქალბატონებს აგრარული კომიტეტის თავმჯდომარე ნინო წილოსანი მიესალმა.

დღის მეორე ნახევარში სტუმრები შუახევის მუნიციპალიტეტში იმყოფებოდნენ. სააგენტოს „აწარმოე საქართველოში“ წარმომადგენელმა ირინა გიორგიძემ, „სოფლის განვითარების“ სააგენტოს წარმომადგენლებმა თეა კუპრაძემ და ნია კობახიძემ მიკროგრანტების პროგრამების შესახებ ისაუბრეს. დამსწრეთ კითხვებზე პასუხები გასცა კომიტეტის აპარატის წარმომადგენელმა თინათინ უდილავაძემ. ნინო წილოსანმა თავის გამოსვლაში ყურადღება გაამახვილა კომიტეტის საქმიანობასა და მიმდინარე გამოწვევების მნიშვნელობაზე, იმ პროგრამებისა და პროექტების რეალიზაციაზე, რომლებსაც მმართველი პარტია და საქართველოს გენდერული თანასწორობის საბჭო ერთობლივად ახორციელებენ სოფლად მცხოვრები ქალების ეკონომიკური გაძლიერების მიმართულებით. ამ კუთხით, შუახევის მუნიციპალიტეტი წარმატებულად დასახელდა. შეხვედრის მონაწილეებს სიტყვით მიმართა შუახევის მუნიციპალიტეტის მერმა ომარ ტაკიძემ.

ნინო წილოსანი ხულოს მუნიციპალიტეტში მეწარმე ქალებსაც შეხვდა და საზაფხულო იალაღებზეც იმყოფებოდა. სამივე მუნიციპალიტეტში გამართულ შეხვედრებს რეგიონული და ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლები ესწრებოდნენ.

ნინო წილოსანთან ვრცელ ინტერვიუს „აჭარა“ უახლოეს ნომერში შემოგთავაზებთ.

ახალი აღმოჩენები – ზედა მახუნცეთში

26 ივნისიდან 7 ივლისის ჩათვლით, აჭარის კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სააგენტო არქეოლოგიურ სამუშაოებს ატარებდა ქედის მუნიციპალიტეტის სოფელ ზედა მახუნცეთში, მერაბ ირემაძის საკარმიდამო ნაკვეთში შემთხვევით აღმოჩენილი მარნის შესწავლის მიზნით. ამის შესახებ ექსპედიციის ხელმძღვანელები თამარ შალიკაძე და იზო დუმბაძე გვესაუბრებიან

- ექსპედიციის შემადგენლობაში ჩვენ გარდა იყვნენ მერაბ უზუნაძე, მოხალისეები - ვაჟა და მერაბ ირემაძეები, ზურა ზაქარიაძე, საჯარო და კერძო სკოლის მოსწავლეები ილია დავითაძე, საბა წულუკიძე, თბილისის ილია ჭავჭავაძის სახელმწიფო უნივერსიტეტის მეორე კურსის სტუდენტი ომარ გამყრელიძე, ჯემალ ქავთარაძე. არქეოლოგიური კვლევის ჩატარება განაპირობა სადაზვერვო სამუშაოებისას გამოვლენილმა სურათმა. კერძოდ, საავტომობილო გზის გაყვანისას შემთხვევით გამოჩნდა რამდენიმე დაზიანებული ქვევრი. ზოგიერთ ნიმუშს კირით გამაგრების კვალიც ეტყობოდა. აქვე ყურადღება მიიქცია ქვევრებში ჩაყრილმა სხვადასხვა დანიშნულების ჭურჭელმა. როგორც მეპატრონე გვიყვება, ქვევრების აღმოჩენის შემთხვევა ხშირი ყოფილა. მეღვინეობის დარგის შეწყვეტის შემდეგ, მოზრდილ ქვევრებს სხვადასხვა დანიშნულებით იყენებდნენ. ქედისთვის დამახასიათებელი ვაზის ჯიშებიდან გვისახელებს ჩხავერსა და მეკრენჩხს. ყურადღებას იქცევს ტოპონიმები დობილათი-წიფნარა. მეთოდური სავალე კვლევითი სამუშაოების შედეგად გამოვლინდა ტერასული ტიპის მარანი, რომელსაც შესაძლოა ჰქონოდა მსუბუქი გადახურვა, რასაც ადასტურებს გამოვლენილი წრიული ფორმის ბრტყელი ქვები. თვით მარნის გამართვისთვის გამოყენებულია მკვრივი გრუნტი. მასში ჩაჭრილი ყოფილა ქვევრებისთვის განკუთვნილი ორმოები, რაც ხაზს უსვამს ქვევრების დაფლვის მეთოდს. ზოგიერთ მათგანს სადრენაჟე კენჭნარი აქვს შემოვლებული, ზოგიერთი კი საგანგებოდაა გამაგრებული კირხსნარის სქელი ფენით. საყურადღებოა ტრადიციული ადგილობრივი ფორმის და ეგრეთ წოდებული რელიეფურორნამენტიანი დიდი ზომის ქვევრები. ყველა მათგანი მიწით და თითქოს საგანგებოდ ჩალეწილი, ქვა-ღორღით იყო სავსე. ერთ-ერთი ქვევრის ამოწმენდის დროს ფსკერზე დაფიქსირდა დამწვარი ვაზის ძირი, ლერწები და წიპწები. მასალების ანალიზი საინტერესო ინფორმაციას მოგვცემს, მაგალითად, ბოლოს როდის დაიწურა ღვინო ამ მარანში ან კიდევ რომელი ყურძნის ჯიშებს იყენებდნენ საღვინედ, - გვითხრა თამარ შალიკაძემ.

- სულ გამოვლინდა 10 სხვადასხვა ზომის ქვევრი, ორი სამეურნეო ორმო და სამარნე ჭურჭლის ფრაგმენტები. აღსანიშნავია, რომ რელიეფურორნამენტიანი ქვევრის კედლებს ხანგრძლივი გამოყენების კვალი ეტყობა. გვაქვს ერთი ქვევრის დახიზვის შემთხვევაც. მარნის შესწავლა ჯერ არ დასრულებულა. გამოჩნდა, რომ არტეფაქტების ნაწილი გაუთხრელ ფართობში გრძელდება. მათი კვლევა მომავალი სეზონისათვის გადაიდო. ვფიქრობთ, მახუნცეთის მარნის საბოლოო არქეოლოგიური კვლევის შედეგების წერილობით და ეთნოგრაფიულ ცნობებთან შეჯერებით მეტი ნათელი მოეფინება აჭარაში ოსმალთა ბატონობის დროს არსებულ მევენახეობა-მეღვინეობასთან დაკავშირებულ საკითხებს, გამდიდრდება ინფორმაცია აჭარის ტერიტორიაზე ღია ტიპის მარნის გამართვის, ფუნქციონირებისა და ვაზის ჯიშების შესახებ. მნიშვნელოვანია, რომ სხვადასხვა მიმართულების ტურისტული პოტენციალით გამორჩეულ სოფელ მახუნცეთს (ჩანჩქერი, თამარის ხიდი, ზიპლაინი, ღვინის ტური და სხვა) შეემატება მევენახეობა-მეღვინეობასთან დაკავშირებული ისტორიული მარანი, - აღნიშნა იზო დუმბაძემ.



იურიდიული კონსულტაციები

იურიდიული დახმარების სამსახურისა და USAID-ის სამართლის უზენაესობის პროგრამის ორგანიზებით, შუახევის მუნიციპალიტეტში საზოგადოების წარმომადგენლებთან, ადგილობრივ მეწარმე ქალებთან საინფორმაციო შეხვედრა გაიმართა. დამსწრეთ მისასალმებელი სიტყვით მიმართა სსიპ „იურიდიული დახმარების სამსახურის“ დირექტორის მოადგილე ქეთევან მურადაშვილმა. იურიდიული დახმარების პარალეგალებმა ია გორგაძემ და სანდრო კიკნაძემ ისაუბრეს ქალთა, ბავშვთა უფლებებისა და ნაადრევი ქორწინების შესახებ. სათანადო ყურადღება დაეთმო იურიდიული დახმარების სამსახურის ფუნქციებს, მის კრიტერიუმებსა და სხვა სამართლებრივი საკითხების განხილვას. შეხვედრას შუახევის მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი და წარმომადგენლობითი სტრუქტურების ხელმძღვანელები ესწრებოდნენ.

„არ დავივიწყოთ ქართული“

იუსუფ ზოიძის სახელობის ხულოს პროფესიულ სახელმწიფო დრამატულ თეატრში, ა(ა)იპ „მომავლის პალიტრის“ ორგანიზებით, ნოდარ დუმბაძის ნაწარმოებების მიხედვით შექმნილი თეატრალური წარმოდგენის „არ დავივიწყოთ ქართული“ ჩვენება გაიმართა.

პროექტი მხატვრული, განსაკუთრებით კი ქართული ნაწარმოებების გაცნობას და მომავალ თაობაში ქართული ლიტერატურის სიყვარულის დანერგვას ემსახურება. ა(ა)იპ „მომავლის პალიტრა“ სატელევიზო პროექტით - „პატარა ამბები“ რამდენიმე წელია, მოზარდებში როგორც ქართული, ასევე უცხოური საბავშვო-საყმაწვილო ლიტერატურის პოპულარიზაციასა და წიგნის კითხვის უნარების ჩამოყალიბებაზე ზრუნავს. პროექტი განსაკუთრებით ქართული ნაწარმოებების გაცნობას და მომავალ თაობაში ქართული ლიტერატურის სიყვარულის დანერგვას ემსახურება.



გვერდი მოამზადა
ოთარ ცინარიძემ

თუთია - ორგანიზმის ცხოველქმედებისთვის აუცილებელი ელემენტი

ქეთევან კილაძე 593 73 45 74

ორგანიზმი თუთიას ვერ წარმოქმნის, თუმცა შეუძლია, 2 მილიგრამამდე მცირე ხნით შეინახოს, ამიტომაც იგი რეგულარულად უნდა მივიღოთ საკვების საშუალებით. იგი აუცილებელია სასიცოცხლო პროცესების სრულყოფილად წარმართვისთვის. თუთია ორგანიზმში მიმდინარე ბევრ ბიოლოგიურ პროცესში მონაწილეობს, მაგალითად:

სამასამდე ფერმენტის სინთეზში, რომელიც აუცილებელია ნივთიერებათა ცვლისთვის;

დნმ-ისა და ცილის სინთეზში;

ტესტოსტერონისა და ინსულინის სინთეზში;

ნორმალურ სპერმატოგენეზში, ნაყოფის ზრდასა და ემბრიონის განვითარებაში;

A ვიტამინისა და ცხიმოვანი მჟავების მეტაბოლიზმში;

ასტიმულირებს ბავშვების ზრდა-განვითარებას;

ხელს უწყობს ჭრილობების შეხორცებას;

უზრუნველყოფს ძვლების, კანის, თმის, ფრჩხილების ჯანმრთელობას;

მის გარეშე იმუნური სისტემა ნორმალურად ვერ ფუნქციონირებს, მაგ. მაკროფაგების, T და B ლიმფოციტების აქტივობა. თუთიის ადეკვატური მიღება აძლიერებს იმუნურ სისტემას და ორგანიზმს ბაქტერიებსა და ვირუსებთან ბრძოლაში ეხმარება, ასევე, აუმჯობესებს ლორწოვანი გარსის სტრუქტურას, რითაც ვირუსებს უშლის მიმაგრებასა და შეღწევაში;

საჭიროა სმენის, მხედველობის, ყნოსვისა და გემოვნების ჩამოსაყალიბებლად.

6 თვემდე ორგანიზმს სჭირდება 2 მგ თუთია, 7 თვიდან 3 წლამდე - 3 მგ, 4-დან 8 წლამდე

- 5 მგ; 9-დან 13 წლამდე - 8 მგ, 14-დან 18 წლამდე ვაჟებს - 11 მგ, გოგონებს - 9 მგ, 19 წლის ზემოთ მამაკაცებს - 11 მგ, ქალებს - 8 მგ.

ორსულებსა და მეძუძურ დედებს 9-დან 13 მგ-მდე თუთია ესაჭიროებათ.

თუთიის ნაკლებობამ მოზარდებში შესაძლოა ზრდისა და განვითარების შეფერხება გამოიწვიოს. თუთიაზე მოთხოვნას ზრდის ფიზიკური დატვირთვა და სტრესი.

თუთიის ადეკვატური მიღება ძალიან მნიშვნელოვანია სპორტსმენებისთვის, დიაბეტიანებისთვის, ქალებისთვის ესტროგენის პრეპარატების მიღებისას და ალკოჰოლის რეგულარულად მომხმარებელი ადამიანებისთვის.

ფიტატები იკავშირებს თუთიას და ხელს უშლის მის ათვისებას. მათ უხვად შეიცავს პარკოსნები, მარცვლეული, თესლეული, თხილეული. თუთიის შეწოვას ასევე აფერხებს: ოქსალატები, რომლებიც არის ისპანახში, ჭარხალში, კაკაოში, შავ ჩაიში, ნიახურში, თხილში, მარწყვში, ღვიძლში; რძესა და რძის ნაწარმში შემავალი კაზეინი; კალციუმი და ფოსფორი; ტანინები (ჩაი, ყავა); ჭარბი რკინა, სპილენძი და კადმიუმი; მედიკამენტები (მაგ. პენიცილამინი, ნატრიუმის ვალპროაქტი, ეთამბუტოლი...).

თუთიის ათვისებას ხელს უწყობს ცილები და ლიმონმჟავა, C ვიტამინი კი ამ ელემენტის კოფაქტორია და მის ეფექტიანობას ზრდის.

თუთია უკეთესად აითვისება ცხოველური საკვებიდან, 40%-მდე შეიწოვს ორგანიზმი, ხოლო მცენარეულიდან - 20%-მდე. თუთიის საუკეთესო წყაროა თევზი და თევზის პროდუქტები, მოლუსკები, კიბორჩხალები, საქონლის, ღორისა და ფრინველის ხორცი, კვერცხი, რძე, ყველი, ასევე, ქერი, ხორბალი, კარტოფილი, ბარდა, ლობიო, ოსპი, ბროკოლი, გოგრა, ისპანახი, თხილეული, თესლეული (ნუში, გოგრა, სელი).

თუთიის ერთ-ერთი საუკეთესო წყაროა შავი შოკოლადი.

თუთიის დეფიციტი შეიძლება ვივარაუდოთ, თუ აღინიშნება: დიარეა; ალოპეცია; თმის ცვენა; კუნთების განლევა; დეპრესია, ნერვული აღგზნებადობა; დერმატიტი, აკნე, სპეციფიკური გამონაყარი კიდურებზე, სახესა და შორისზე ვეზიკულური და პუსტულური ელემენტებით, რომლებიც ქერქით არის დაფარული და ერითემულია; ლორწოვანი გარსის პრობლემები, გემოვნების გაუკუღმართება, უმადობა, ყნოსვის გაუარესება, წყლულები პირის ღრუში (აფთები); კანსა და ლორწოვან გარსზე ჭრილობების შეხორცების გართულება; სპერმის პროდუქციის დაქვეითება; ზრდის შეფერხება.

თუ თუთიის დეფიციტი შეწოვის თანდაყოლილი დარღვევით არის გამოწვეული, შესაძლოა განვითარდეს ე. წ. ენტეროპათიული აკროდერმატიტი. ამ დროს სიცოცხლის პირველ თვეებში მოსალოდნელია სიმეტრიული გამონაყარი თვალებისა და პირის ირგვლივ, ხელებზე, ფეხებზე, დუნდულებზე; ლორწოვანი გარსის ცვლილებები (მაგ. გინგივიტი); ზრდის შეფერხება; ინფექციების მიმართ მგრძნობელობის მომატება; ნერვული სისტემის დარღვევა.

თუთიის დეფიციტს იწვევს:

ნაწლავის ქრ. ანთებითი დაავადებები (კრონის დაავადება, წყლულოვანი კოლიტი); თირკმლის ქრ. უკმარისობა; შაქრიანი დიაბეტი; პანკრეასის დაავადებები; მალაბსორბციის სინდრომი - შეწოვის დარღვევით მიმდინარე დაავადებები; აივ ინფექცია/შიდსი; ციროზი; ალკოჰოლიზმი; ნამგლისებრუჯრედოვანი ანემია; თუთიის შეწოვის თანდაყოლილი დარღვევა; არასწორი კვება, ფიტატების დიდი რაოდენობით მიღება, ასევე, ზოგიერთი მედიკამენტი (აგფ-ინჰიბიტორები, ანტაციდები, ციკლოსპორინი A, კორტიზონი, შარდმდენები, რკინის პრეპარატები, ქოლესტეროლის დამაქვეითებელი საშუალებები, ტეტრაციკლინი და ა. შ.).

ბევრი თუთიაც მავნებელია. იგი შეიძლება განვითარდეს დიდი რაოდენობით მჟავე საკვების ან თუთიის შემცველ ჭურჭელში მდგარი სასმელის მიღებისას. თუთიის სიჭარბე იწვევს გულისრევას, მუცლის ტკივილს, უმადობას, მეტალის გემოს პირში, დიარეას, თავის ტკივილს, ასევე, თუთის სიჭარბემ შესაძლოა შეაფერხოს სპილენძის შეწოვა და მისი დეფიციტი გამოიწვიოს.

თუთიას მრავალი პოლივიტამინური დანამატი შეიცავს. ცალკეც გამოდის დანამატის სახით. დანამატებში თუთია სხვადასხვა ფორმით გვხვდება (თუთიის სულფატი, აცეტატი, გლუკონატი, ოქსიდი...). საუკეთესოდ შეიწოვება თუთია-ჰელატის სახით, სადაც იგი შეკავშირებულია ამინომჟავასთან (მაგ. გლიცინთან), რაც მის ათვისებას აადვილებს.

არ არის რეკომენდებული თუთიის პროფილაქტიკური მიღება ორსულობისა და ლაქტაციის პერიოდში.

ჩვეულებრივ, დღე-ღამეში საჭიროა მივიღოთ 6,5 მგ თუთია საკვებდანამატების სახით, მხოლოდ საჭიროებისამებრ და ექიმის კონსულტაციის შესაბამისად.

უკრაინა

უკრაინის თავდაცვის მინისტრი ოლექსი რეზნიკოვი 18 ივლისს რამშტაინის ფორმატში ჩატარებულ მე-14 შეხვედრას აჯამებს და აცხადებს, რომ მთავარი თემა უკრაინის ტერიტორიების გასათავისუფლებლად საჭირო იარაღისა და აღჭურვილობის მიწოდება იყო. მისი ინფორმაციით, ლუქსემბურგის პრემიერ-მინისტრმა ფრანსუა ბაუშმა და ესტონეთის თავდაცვის მინისტრმა ჰანო პევკურმა წარადგინეს კონკრეტული ნაბიჯები IT კოალიციის განვითარებისთვის. რეზნიკოვმა მადლობა გადაუხადა ლიეტუვის თავდაცვის მინისტრ არვიდას ანუსაუსკასს და ყველა ლიეტუველ მეგობარს განაღმვის კოალიციის შექმნის ინიციატივისთვის. „განსაკუთრებული მადლობა უკრაინის დიდ მეგობარს და ჩემს ძვირფას მეგობარს, აშშ-ის თავდაცვის მინისტრ ლოიდ ოსტინს ბოროტების წინააღმდეგ უპრეცედენტო კოალიციის ხელმძღვანელობისთვის. ერთად ვმუშაობთ გამარჯვების, სამართლიანი მშვიდობისა და უკეთესი მომავლის მისაღწევად“, - წერს რეზნიკოვი „ტვიტერზე“.

* * *

უკრაინაში, რუსული ძალების მიერ რაკეტებისა და უპილოტო საფრენი აპარატების გამოყენებით განხორციელებული თავდასხმის გამო, ფართომასშტაბიანი განგაში გამოცხადდა, - ინფორმაციას უკრაინული მედია ავრცელებს. მათივე ცნობით, უკრაინის შეიარაღებული ძალების საჰაერო ძალებმა სამხრეთიდან Shahed-ის ტიპის უპილოტო საფრენი აპარატების გაშვება დაფიქსირეს. შუაღამის შემდეგ მათ განაცხადეს, რომ ჩრდილოეთ, ცენტრალურ და აღმოსავლეთ რეგიონებში სარაკეტო თავდასხმის საფრთხე არსებობდა, რადგან Tu-22M3 თვითმფრინავიდან ფრთოსანი რაკეტების გაშვება დაფიქსირდა. ამასთან, უკრაინის პრეზიდენტის ადმინისტრაციამ მოსახლეობას მოუწოდა, საჰაერო განგაშის დროს სიფრთხილე გამოეჩინა. მათი ინფორმაციით, შავი ზღვიდან „კალიბრის“ ტიპის ფრთოსანი რაკეტების გაშვება დაფიქსირდა. მოგვიანებით, ოდესაში აფეთქებების სერიის ხმა გაისმა. ქალაქში საჰაერო განგაში გამოცხადდა. ოდესის ოლქის სამხედრო ადმინისტრაციის ხელმძღვანელმა ოლეჰ კიპერმა მოსახლეობას თავშესაფრებში გადასვლისკენ მოუწოდა.

* * *

უკრაინის პრეზიდენტი ვოლოდიმირ ზელენსკი აცხადებს, რომ მზად არ არის რუსეთის პრეზიდენტ ვლადიმერ პუტინთან სასაუბროდ, რადგან ის ფაშისტი და სადისტია. აფრიკულ მედიასთან ინტერვიუში ზელენსკიმ გაიხსენა, რომ როდესაც რუსული ძალები შეიჭრნენ უკრაინაში და გაემართნენ კიევისკენ, უკრაინის ხელისუფლებამ უარი თქვა ვლადიმერ პუტინთან საუბარზე მისი ულტიმატუმების საფუძველზე. „როდესაც მან ჩემი, ჩემი ოჯახის და გარემოცვის მკვლელობის ბრძანება გასცა, ჩვენ ვთქვით, რომ ეს ულტიმატუმიც არ გაუვიდოდა“, - აღნიშნა ზელენსკიმ. მისი თქმით, ყველა მზად იყო მიეღო, რომ ომის დასრულება შესაძლებელი იყო დიპლომატიის გზით უკრაინის სუვერენიტეტის პატივისცემით, მაგრამ ბუჩას გათავისუფლების შემდეგ ყველამ ნახა ნაწამები მშვიდობიანი მოსახლეობის მასობრივი ძალადობრივი მკვლელობების კვალი. „ვინ არის მზად ამ მანიაკთან სალაპარაკოდ? და შემდეგ ჩვენ ვთქვით, რომ დადგებოდა დრო და ომი მაინც დიპლომატიური გზით დამთავრდებოდა, მაგრამ ამ კაცთან საუბარი - ბოდიში, მას ხელები იდაყვებამდე სისხლში აქვს“, - აღნიშნა ზელენსკიმ.

* * *

უკრაინის კონტრშეტევა შორს არის მარცხისგან, მიუხედავად იმისა, რომ ის მოსალოდნელზე ნელა მიმდინარეობს, - განაცხადა აშშ-ის შეიარაღებული ძალების გაერთიანებული შტაბების კომიტეტის ხელმძღვანელმა გენერალმა მარკ მილიმ. „ეს დაიწყო დაახლოებით ხუთი-ექვსი კვირის წინ, არსებობდა პროგნოზი გარკვეული წინსვლის შესახებ და ეს შენელდა. რატომ? იმიტომ, რომ არსებობს განსხვავება ქაღალდზე ომსა და რეალურ ომს შორის. ესენი არიან რეალური ადამიანები რეალურ მანქანებში, რომლებიც იქ ნამდვილად ასუფთავებენ ნამდვილ ნაღმებს და ისინი ნამდვილად კვდებიან“, - აღნიშნა გენერალმა. მისივე თქმით, უკრაინას აქვს მნიშვნელოვანი საბრძოლო ძალა, რომელიც ჯერ არ არის ჩართული კონტრშეტევაში. „არ ვიტყვი, რა მოხდება მომავალში, რადგან ეს იქნება უკრაინის გადაწყვეტილება იმის შესახებ, თუ სად და როდის გამოიყენებენ რეზერვს. ახლა ისინი ინარჩუნებენ თავიანთ საბრძოლო ძალას და ნელა, მიზანმიმართულად, სტაბილურად მუშაობენ ყველა ამ დანაღმულ ველზე“, - განაცხადა მარკ მილიმ.

* * *

ბელარუსის წითელმა ჯვარმა დაადასტურა, რომ ჩართულია უკრაინელი ბავშვების ოკუპირებული ტერიტორიებიდან ბელარუსში გაყვანაში. ინფორმაციას გამოცემა Зеркало ბელარუსის წითელი ჯვრის ხელმძღვანელ დიმიტრი შევცოვის განცხადებაზე დაყრდნობით ავრცელებს. „სრულიად აღმაშფოთა იმ ფაქტმა, რომ ხალხი ბელარუსს ბავშვების გატაცებაში ადანაშაულებს, რომლებიც ჩვენთან გამოჯანმრთელების მიზნით მოდიან. მართალი გითხრათ, ფაქტია, რომ ბელარუსის წითელი ჯვარი ამაში აქტიურად მონაწილეობდა, მონაწილეობს და მიიღებს კიდევაც მომავალში“, - აღნიშნა შევცოვმა. იგი აცხადებს, რომ არ შეუძლია დაუშვას ქვეყნის იმიჯის, ბელარუსის წითელი ჯვრის და, ზოგადად, წითელი ჯვრის მოძრაობის დაზიანება. გამოცემა Зеркало იუწყება, რომ უკრაინის ოკუპირებულ ტერიტორიებზე მისი წინა ვიზიტისას შევცოვი შენიღბული, მკლავზე ასო Z-ით ნახეს, მიუხედავად იმისა, რომ წითელი ჯვრის წესდება ორგანიზაციის წევრებს ნეიტრალიტეტის შენარჩუნებას სთხოვს. წითელი ჯვრის საერთაშორისო კომიტეტმა განაცხადა, რომ ისინი ინციდენტს იკვლევენ.

* * *

უკრაინის პრეზიდენტ ვოლოდიმირ ზელენსკის განცხადებით, უკრაინული მარცვლეულის ნორმალური ექსპორტის გაგრძელებისთვის რუსეთზე ზეწოლა უნდა გაძლიერდეს და ამ მიზნით მან ქვეყნის საგარეო უწყებას პარტნიორებთან კონტაქტების გააქტიურება დაავალა. მისივე თქმით, ოდესის, ჟიტომირის და უკრაინის სხვა ოლქებზე რუსეთის მიერ განხორციელებული დარტყმების შემდეგ სამხედროებს ადამიანებისა და საპორტო ინფრასტრუქტურის დაცვის გაძლიერება დაევალათ.

მოამზადა
ნაირა ფუტკარაძემ

უკრაინისთვის F-16 თვითმფრინავების გადაცემის დაჩქარებას ითხოვენ

30 ევროპარლამენტარი ევროკავშირის ლიდერებს მოუწოდებს, უკრაინისთვის F-16 თვითმფრინავების გადაცემა დაჩქარონ. ამის შესახებ ევროპარლამენტარების საერთო წერილში წერია, რომელიც ტომაშ ზდეხოვსკის მიერ იყო ინიცირებული.

„უკრაინისთვის ამ მაღალტექნოლოგიური ავიაგამანადგურებლების მიწოდება მნიშვნელოვნად გააძლიერებს მის ანტისაჰაერო თავდაცვას, იქნება სამოქალაქო მოსახლეობის უკეთესი დაცვის გარანტორი და შეაჩერებს სამომავლო აგრესიას“, - წერია ევროპარლამენტარების წერილში.

წერილის ხელმომწერები ევროკავშირის წევრ სახელმწიფოებს მიმართავენ, მხარი დაუჭირონ F-16 ავიაგამანადგურებლების დაჩქარებულ გადაცემას, ვინაიდან ისინი „უკრაინის თავდაცვისა და შეტევითი შესაძლებლობების გასაძლიერებლადაა საჭირო“.

ევროპარლამენტარები, ასევე, აღნიშნავენ, რომ ავიაგამანადგურებლების გარეშე სხვა სამხედრო დახმარებამ, რომელიც დასავლეთმა უკვე მიაწოდა უკრაინას, „შესაძლოა, ვერ მიაღწიოს სრულ პოტენციალს“.

ამირან გურიელიძე

მთავარი რედაქტორი
მარინა მითაიშვილი

გამომძვეები რედაქტორი
ირმა შერვაშიძე

ლიტერატურული რედაქტორი
ეთერ ხომერიკი

რედაქცია პასუხს არ აგებს უცხოური პრესიდან თარგმნილი მასალების, ფაქტების, ინფორმაციის სიზუსტეზე, აგრეთვე სარეკლამო განცხადებების შინაარსსა და სტილზე.
(R) ნიშნით აღნიშნული სტატიები იბეჭდება რეკლამის უფლებით.
რედაქციაში შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდებათ.

გამომცემელი - შპს «ბაზეთი აჭარა და აჯარია»
პოლიგრაფიული მომსახურება - შპს «კოლორ პრესი»
მის: ქ. თბილისი, ე. ბალდავაძის ქ. №3

მისამართი: 6000, ბათუმი, გრიგოლ ფეროვნის ქ. №2
ტელ: 27-13-31
აინწყო და დაკაბადონდა გაზეთ «აჭარის» კომპ. ცენტრში

დასაბეჭდად ხელმოწერილია 19/07/23, 22 25 სთ.

დირექტორი
მამუკა ბერიძე

„ბროლის გოგონა“, რომელზეც მთელი თურქეთი ალაპარაკდა

მანანა ძიძიშვილი 598 24 94 97

მას შემდეგ, რაც პოპულარულ თურქულ სერიალ „სხვისი შვილის“ ერთ-ერთ მთავარ როლზე ჩვენი თანაქალაქელი - მოცეკვავე, მსახიობი, დიზაინერი, მოდელი, ულამაზესი ნანა სტამბოლიშვილი დაამტკიცეს, ერთ წელზე ოდნავ მეტი გავიდა. ამ ხნის განმავლობაში ქართველი მსახიობი ძალიან პოპულარული გახდა არა მხოლოდ თურქეთსა და საქართველოში - ნანუკა უყვართ და აფასებენ მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში, ათასობით გულშემატკივარი ყოველდღიურად უთბილესი სიტყვებით ეფერება მას, შეიქმნა მხარდამჭერთა სხვადასხვა ჯგუფი

ნანა სტამბოლიშვილის მიმართ ბათუმელებმა სითბო და სიყვარული საჯაროდ გამოხატეს სალონურ შეხვედრაზე - „სტუმრად ვახტანგ ღლონტთან“.

ვახტანგ ღლონტმა აღნიშნა, რომ არ არის ადვილი ამხელა ქვეყნის კინოინდუსტრიაში ასე ლამაზად შესვლა და თავის წარმოჩენა. თავიდან თუ ცოტა ეჭვის თვალით უყურებდნენ ქართველ მსახიობს, ბოლო ხანს საგრძნობლად იმატა მისი მომხრეების რიცხვმა. სხვა ქვეყნიდან ჩასული გოგონა თითქოს თავად აღმოჩნდა „სხვისი შვილი“ იქ - თურქეთში. შემოქმედებითმა ჯგუფმა ის გულით შეიყვარა და დღეს, როგორც საკუთარ შვილს, ისე ექცევიან, რაც უთუოდ დასაფასებელია.

ნანამ შეკრებილთა რამდენიმე კითხვას უპასუხა. გაიხსენა აქამდე განვლილი გზა. აღნიშნა, რომ მის ცხოვრებაში ფილმამდე დიდი ადგილი ეჭირა ცეკვას, რომელიც გვიან დაიწყო, მისი პირველი მასწავლებელი კი თამაზ ბეჟანიძე გახლდათ.

არ არის ადვილი შენი ქვეყნიდან თვეობით შორს ყოფნა, ამიტომაც მაქსიმალურად ცდილობს, გაეცნოს ყველაფერს, რაც მის შესახებ სოციალურ ქსელში იწერება. ნანა სერიალის მეოთხე სეზონშიც ითამაშებს, ამიტომ წინ კიდევ ერთი რთული წელი ელოდება. დანარჩენს მომავალი აჩვენებს.

შეხვედრის მონაწილეები დაინტერესდნენ, ფილმში შეტანილი ქართული ელემენტები ვისი იდეა იყო. ამასთან დაკავშირებით ნანამ მადლიერებით მოიხსენია სცენარის ავტორი, ქალბატონი ნაზმიე.

- ის არაჩვეულებრივი პიროვნებაა, რომელიც ძალიან მიყვარს და ვაფასებ. ახლა მინდა საჯაროდ გადავუხადო მადლობა, სწორედ ის მაძლევს საშუალებას, წარმოვაჩინო ჩემი ქვეყანა, საკუთარი თავი. მათთვის უცხო, საინტერესო ქართული ელემენტებით გახდა ეს სეზონი პოპულარული... და არამარტო თურქეთში. ქალბატონი ნაზმიეს მიმართ მადლობის მეტი არაფერი მეთქმის, - აღნიშნა ნანამ.

მადლიერება გამოხატა მის უშუალო ეკრანულ პარტნიორ ჰალილ იბრაჰიმ ჯეიჰანის მიმართაც. „ის ჩემი უახლოესი მეგობარია, დიდი წვლილი მიუძღვის ჩემს წარმატებაში. თავიდანვე გვერდით მედგა, მიუხედავად იმისა, რომ მისთვისაც ეს პერიოდი რთული იყო. არასოდეს უკან არ დაუხევია, ყოველთვის მამხნევებდა, სტიმულს მაძლევდა, ბევრი რამ მასწავლა... პარტნიორზე ძალიან ბევრი რამაა დამოკიდებული. რაც არ უნდა მონდომებული და ნიჭიერი იყო, თუ მასთან თავს კომფორტულად, მშვიდად არ გრძნობ, საქმეს ვერ გააკეთებ, ამიტომ ჰალილის დიდი დამსახურებაა ჩემი წარმატება. ამისთვის დიდი მადლობა მინდა გადავუხადო მას.

თურქული ენის შესწავლა ფილმში როლის შეთავაზების შემდეგ დაიწყო, პრაქტიკაც დაეხმარა - ირგვლივ ყველა თურქულ ენაზე საუბრობდა... მიუხედავად ამისა, ენის შესწავლა არ იყო ადვილი, რადგან გადაღებები ყოველდღიურ რეჟიმში მიმდინარეობდა. დაუღალავი შრომით გამონახა საკუთარ თავში ძალა და შედეგიც მიიღო, რომლითაც თავადაც კმაყოფილია და მაყურებელიც.

ყველა აღნიშნავს თითოეული ადამიანისადმი გამოჩენილ მის სითბოს. „ოჯახში ისეთ სიყვარულში და სითბოში გამზარდეს, სხვაგვარი ვერ ვიქნებოდი. ამაში უდიდესია ჩემი ბებოს - თამარ ინაიშვილის წვლილი. ის დღემდე სიყვარულში „მახრჩობს“. ყველა სითბოს მინაწილებდა - დედა, მამა, მამიდა... მერე ეს სითბო და მოფერება გაგრძელდა ჩემი მეუღლის - ლაშა მგელაძის ოჯახში. დიდი მადლობა მათ ამ სიყვარულისთვის“, - ამბობს ნანა.

ნანამ გამორჩეული სითბოთი ისაუბრა ემიგრანტებზე. ფილმში არის ეპიზოდი, სადაც იგი ქართულად უმღერის „იავნანას“ თურქ სხვის შვილს. როგორც თქვა, ეს ეპიზოდი ემიგრანტებს მიუძღვნა, რომლებიც ემიგრაციაში სხვის შვილებს უმღერიან „იავნანას“. პირველად რომ ნახა ეს ნაწყვეტი, თურმე თავადაც ცრემლი მოადგა თვალზე. მიუხედავად იმისა, რომ შვილი მასთან ხშირად ჩაჰყავთ, ეს განშორება რთულია მისთვის, რადგან მანამდე სულ ერთად იყვნენ. მადლობას უხდის ქალბატონ ნაზმიეს, რომ ამ სცენით ემიგრანტების მოფერების საშუალება მისცა.

შეხვედრაზე ნანა სტამბოლიშვილისთვის თბილი სიტყვების თქმის სურვილი ბევრ ადამიანს გაუჩნდა. შემოგთავაზებთ რამდენიმე მათგანის გამოსვლას.

ნონა ძათამაძე, მეგობარი, რომელიც 18 წელია, თურქეთში ცხოვრობს, ხშირადაა მასთან გადასაღებ მოედანზე და სალონურ საღამოზე სპეციალურად ჩამოვიდა:

- ნანა დასავით მიყვარს. იგი არაჩვეულებრივი ადამიანია, ისეთი, რომელსაც გულში არანაირი ბოროტება არ უდევს. ყველა ინატრებს, რომ ასეთი შვილი ან მეუღლე, მეგობარი ჰყავდეს გვერდით. მას სწორედ ისეთი მეუღლე ჰყავს, რომელიც ნამდვილად შეეფერება. მინდა თქვენი გაზეთის საშუალებით მადლობა გადავუხადო ორ ადამიანს იმ ქართული სიმღერისთვის, რომელსაც პატარა ეკატერინე წიქარიშვილი მღერის. ავტორებმა - გიორგი გოგოლაურმა და ლადო დოღვანმა როცა გაიგეს, სერიალში ქართველი გოგონა თამაშობდა, ყოველგვარი საზღაურის გარეშე აჩუქეს მას ეს ძალიან ლამაზი სიმღერა.

ნუგზარ მგელაძე, ნანა სტამბოლიშვილის მამამთილი:

- ჩვენ საუკეთესო მეგობრები ვართ. ახლგაზრდები როცა დაქორწინდნენ, ნანა 20 წლის იყო, შეიძლება ითქვას, ჩვენს ხელში გაიზარდა. არაჩვეულებრივი რძალია. საოცრებაა, რომ მან შეძლო ამ უზარმაზარ, მსოფლიოს ერთ-ერთ ულამაზეს, უდიდეს მულტიკულტურულ ქალაქში გზის გაკვალვა. ყოველთვის ვიცოდი, რომ ის წარმატებული იქნებოდა. ამ სიფრიფანა გოგოში, როგორც ახლა მას ეძახიან, დიდი და კეთილი სულია. უპირველესად, ის კარგი ადამიანი, კარგი რძალია. მადლობა მას ყველაფრისთვის.

ზურაბ სტამბოლიშვილი, მამა:

- პირველ რიგში, ლაშას (მეუღლე) მინდა მადლობა გადავუხადო. ის რომ არა, ნანა ფილმში ვერ ითამაშებდა. ნანა ბავშვობიდან გამორჩეული იყო, ყველაფერს ადვილად ითვისებდა. წარმოიდგინეთ, ბეშუმში, ჯერ კიდევ პატარა გოგო, უბელო ცხენს დააჯირითებდა.

მერი დიასამიძე, გულშემატკივარი:

- ეს არის „ბროლის გოგონა“, რომელზეც მთელი თურქეთი ალაპარაკდა. მან ქართული კულტურის კიდევ უფრო აღორძინებას შეუწყო ხელი. ჩემი დიდი პატივისცემა მის ოჯახს... არ არის ადვილი ასეთი დიდი ქვეყნის კინოინდუსტრიაში თავის დამკვიდრება, თანაც შენი ქვეყნის ტრადიციის შტრიხების წარმოჩენა. ნანამ ეს შეძლო; უნიჭიერესია.

თეა ბერიძე, მეგობარი:

- ნანა ჩემი შვილის ნათლიაა, საოცრად ძლიერი პიროვნებაა. ის არ ირგებს ნიღაბს, ზუსტად ისეთია, რაც სინამდვილეში... ბევრს შეუყვარდა და ბევრი მტერიც გამოუჩნდა, მაგრამ „ცუდას რად უნდა მტერობა“...

გურანდა ბოლქვაძე:

- სპეციალურად მოვედი მასთან შესახვედრად, მინდოდა მენახა, მართლა ასეთი ლამაზია ჩვენი ნანა, თუ... უნდა გითხრათ, იმაზე ბევრად ლამაზია, ვიდრე ტელეეკრანზე. დავრწმუნდი მის ბუნებრიობაში. ქედს ვიხრი მისი სილამაზის წინაშე...

ლია ძამაღლაძე, პედაგოგი შუახევიდან:

- გული მწყდება, ამდენი ნიჭიერი ადამიანი რატომ არ არის რეალიზებული საქართველოში და რატომ სჭირდება მას უცხო ქვეყნიდან შემჩნევა... თუმცა აღტაცებული ვარ მეზობელ ქვეყანაში რომ დაინახეს. ჩემი წილი მადლობა მინდა გადაგიხადოთ იმისთვის, რომ იქ დაამტკიცეთ ქართველობა, ანახეთ ნამდვილი ქართველი ქალის სახე.

მარინა კუპრეიშვილი, ჟურნალისტი:

- ამ ულამაზესმა გოგომ ისე წაიყვანა ტიპური თურქული სერიალი, რომ ქართული ხაზი განავითარა - ქართული სიმღერა, ცეკვა, საუბარი, ფრაზები... ნანამ ღირსეულად გაართვა თავი ყველაფერს. ინტერნეტში სხვადასხვა ქვეყნის წარმომადგენლები აფანატებენ მასზე. ერთ-ერთი ფანჯგუფისთვის ბლიცინტერვიუ გავაკეთე, რაშიც მისი მეუღლე, ლაშა დამეხმარა და მივხვდი, რომ ძალიან საინტერესო ადამიანია. მადლობა მას, მშობლებს, ქობულეთსა და ქობულეთელებს, რომ ასეთი მარგალიტი გოგო შესძინეს სამყაროს, თურქეთის დიდ კინოინდუსტრიაში ამ პატარა ქვეყნის პატარა გოგომ ლამაზად დაიმკვიდრა სახელი. ვუსურვებ უფრო ფართო ასპარეზზე გასვლას.

თამაზ ნიკოლაიშვილი, მუსიკოსი:

- მე იმ კულტურის ცენტრის დირექტორი ვარ, სადაც ნანა პირველად მოვიდა საცეკვაოდ. მისთვის ერთი თვეც საკმარისი იყო, რომ ერთ-ერთი პირველი გამხდარიყო. რაც შეეხება ფილმს, ვერ ვიტყვი, რომ ყველა სერია ვნახე, მაგრამ რაც ვნახე, შთაბეჭდილებისთვის ისიც საკმარისია. შენ საქართველოსთვის მარგალიტი ხარ. ჩვენ ქედს ვიხრით შენი ნიჭიერების წინაშე. მეც შემიძლია ვიამაყო, რომ ერთ დროს შენი დირექტორი ვიყავი.

ძეთი შანთაძე, მეგობარი:

- ნანა ყოველთვის განსაკუთრებული იყო. მიხარია, რომ მას ჩემს ცხოვრებაში გამორჩეული ადგილი უჭირავს. თურქეთში ჩავედი მისთვის დაბადების დღის მისალოცად და ვნახე, როგორ სტრესულ გარემოში უწევს მუშაობა. არ ყოფილა ადვილი მსახიობობა, დიდი შრომის შედეგია, რასაც ჩვენ ეკრანზე ვუყურებთ... ჩვენი სამეგობროს სახელით დიდი მადლობა ლაშას, რომელიც ნანას გვერდით უდგას და აძლიერებს

ნათია თავდგირიძე, გადაცემა „ერთი დღე სოფელში“ წამყვანი:

- ნანა ის ადამიანია, რომელიც ცდილობს, თავისი კუთხის ტრადიცია, ცეკვა, სამოსი, სიმღერა გაიტანოს საზღვარს მიღმა. მიხარია, რომ ჩემს გადაცემას ასობით ადამიანი გამოეხმაურა, 500 ათასამდე ნახვა ჰქონდა, სადაც ნანა მადლობას უხდიდა მაყურებელს. მას ბევრად მეტი შესაძლებლობები აქვს, ეს ვიცი, რადგან ჩვენ დებივით ვიზრდებოდით, ბიძაშვილ-მამიდაშვილები ვართ, ზაფხულსაც ერთად ვატარებდით. ჩემთვის მნიშვნელოვანია მისი წარმატება, წინსვლა. დარწმუნებული ვარ, ჩვენი თანადგომითა და მხარდაჭერით კიდევ ბევრ წარმატებას მიაღწევს.

ელგუჯა მარღია, პოეტი:

- ქართველი მანდილოსნები ყოველთვის აოცებდნენ მსოფლიოს. ქართველს ასეთი დიდი ქვეყნის ტელეეკრანზე რომ ხედავ, ეს უკვე წარმატებაა. ამ ძვირფას ადამიანს უნდა ჰქონდეს დაფასება. თუ მარკეტინგულად შევაფასებთ, ეს ქართული კინემატოგრაფიისთვის ძვირფასი საუნჯეა. წარმატება მინდა ვუსურვო მას.

თამარ ინაიშვილი, ბებია:

- ნანა ბავშვობიდან გამოირჩეოდა სილამაზით, ყველა სიყვარულით იხუტებდა გულში. იყო მშვიდი ბავშვი. ჩემი გაზრდილია და უზომოდ მიყვარს, პირველი შვილიშვილი იყო. ეკრანზე რომ ვხედავ, სიხარულით მეტირება, მან თავისი შრომით მიაღწია ყველაფერს. მადლობა მის მეუღლეს ნანას თანადგომისთვის, იმ სიყვარულისთვის, რასაც მის მიმართ იჩენს.

შეხვედრაზე ნანუკას მონაწილეობით სერიალიდან რამდენიმე ნაწყვეტი აჩვენეს.

ნანა სტამბოლიშვილის მეუღლე ლაშა მგელაძემ მადლობა გადაუხადა ყველას, გაიხსენა ნანასთან 17 წლის წინანდელი შეხვედრა კაპადოკიაში, სადაც ერთმანეთი გაიცნეს. მაშინ სტუდენტები იყვნენ. ოთხი წლის შემდეგ შექმნეს ოჯახი, შეეძინათ ქალიშვილი - თაისია და დღემდე ერთად მოდიან სიყვარულით, სირთულეების გადალახვაც ერთად უწევთ.

- მაქსიმალურად შევეცდები, ბოლომდე დავიხარჯო, რათა იამაყოთ ჩემით. კიდევ ერთხელ მადლობა ამ სიყვარულისა და დაფასებისთვის. ალბათ, კიდევ ბევრჯერ შევხვდებით, - ასე დაემშვიდობა ნანა სტამბოლიშვილი საღამოზე შეკრებილ საზოგადოებას.

„კვარას“ თავბრუ რომ ვერ დაახვიოს, კიმ მინ ჯე კი...

Gazzetta dello Sport-ი წერს, რომ ხვიჩა კვარაცხელია მალე „ნაპოლისთან“ კონტრაქტს 2028 წლამდე გაახანგრძლივებს, შრომით ხელშეკრულებაში კი მისი 1 წლით შესაძლო გაგრძელების ოფციაც იქნება.

„პარტენოპეის“ პრეზიდენტი აურელიო დე ლაურენტისი ამ გზით გეგმავს, რომ ქართველმა მომხიბვლელ ინგლისურ წინადადებებს ყურადღება არ მიაქციოს და ფეხბურთელი შეინარჩუნოს.

„მასში, საკომისიოების ჩათვლით, მხოლოდ 11 მილიონი გადაიხადეს და დღეს ის 100 მილიონი ღირს. ეს ნამდვილად შთამბეჭდავია. „ნაპოლი“ მუშაობს კონტრაქტის განახლებაზე.

„პარტენოპეიში“ ფიქრობენ ხვიჩასთვის

ხელფასის გაზრდაზე, რათა თავიდან აირიდონ ინგლისური გუნდების მცდელობები, თავბრუ დაახვიონ „კვარას“, რომელსაც დარჩენა ისედაც სურს.

მხარეები არ ჩქარობენ, რადგან აგენტმა მამუკა ჯუღელმა უკვე წარმოადგინა კონტრაქტის განახლების პირობები.

სატრანსფერო ფანჯრის დახურვამდე ქართველი „ნაპოლისთან“ შრომით ხელშეკრულებას 2028 წლამდე გააფორმებს, მაგრამ 2029 წლამდე გაგრძელების შესაძლებლობით, ხოლო მისი ხელფასი 1,2 მილიონიდან 2,5 მილიონამდე გაიზრდება“, - წერს Gazzetta dello Sport-ი.

რაც შეეხება კიმ მინ ჯეს, „ნაპოლის“ აწ უკვე ყოფილი მცველი „ბაიერნში“ ოფიციალურად გადავიდა.

მიუნხენურმა კლუბმა მას კონტრაქტი 2028 წლის ზაფხულამდე გაუფორმა და 3-ნომრიანი მაისური გადასცა.

ადრე გავრცელდა ინფორმაცია, რომ ეს

ტრანსფერი „ბაიერნს“ 50 მილიონი ევრო დაუჯდებოდა.

შეგახსენებთ: კიმ მინ ჯემ გასულ სეზონში სერია A-ს 35 მატჩში 2 გოლი გაიტანა და 2 საგოლე გადაცემა გააკეთა.

ამირან გურიელიძე